

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

N	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინება
1.	<p>საფინანსო საბიუჯეტო კომისია. კომისიამ დასვა საკითხი , ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების სამედიცინო დახმარების დაფინანსების გაზრდისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების გაზრდის შესახებ</p>	<p>აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ 2023 წლისთვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამას დაემატა ახალი პროგრამა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-დან18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონალური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამითან ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50 % -ით არაუმეტეს 200 ლარისა. ასევე გათვალისწინებულია განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირთა მედიკამენტების დახმარების პროგრამა.</p>
2.	<p>ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მაწანწალა ძაღლებს</p>	<p>აღნიშნული საკითხი მოითხოვს გლობალურ დონეზე გადაწყვეტას, მანამდე კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მაწანწალა ძაღლების იზოლირებისათვის , ცოფზე ვაქცინაციისა, კასტრაცია, სტერილიზაციისა და დაბირკვისათვის გათვალისწინებულია 50.000 ლარი</p>
3.	<p>ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მუნიციპალიტეტში არსებულ ა(ა) იპ-ებში ხელფასების ზრდა</p>	<p>2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებულ ა(ა) იპ-ებში ხელფასების ზრდა.</p>
4.	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (შიდა გზების რეაბილიტაცია)</p>	<p>შიდა გზების რეაბილიტაცია ხდება მოსახლეობასთან კონსულტაციებით დასმული პრიორიტეტების მიხედვით, კანონმდებლობის სრული დაცვით. 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოფ. ჟონეთის, რიონის, ყუმისთავის, ზედა ჩუნემის, ცხუნკურის, ქვილიშორის, დერჩში, ქვედა მესხეთში, უკანეთში და სხვა სოფლებში გზების რეაბილიტაცია</p>
5.	<p>სასმელი წყლით უზრუნველყოფა</p>	<p>შესაბამისი სამუშაოები განხორციელდება მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგადად, დასმული პრიორიტეტების და საჭიროებების მიხედვით, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. გათვალისწინებულია სასმელი წყლით უზრუნველყოფა სოფ. ცხუნკურში, ყუმისთავისსოფ. წყალტუბოში, ხომულში</p>
6.	<p>ნაგავშემკრები კონტეინერები</p>	<p>2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 80 000 ლარი.</p>
7.	<p>მუნიციპალიტეტის</p>	<p>2023 წლის ბიუჯეტით უჭირისუფლო გარდაცვლილთა</p>

	ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სარიტუალო ხარჯის დაფინანსების თანხის ზრდა	დაკრძალვის ხარჯის ზრდა 250 ლარიდან გაიზარდა 400 ლარამდე.
8.	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (კოდი 02 05)- ამ მიმართულებით ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები მაქსიმალურად მორგებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საჭიროებებზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 250 000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ბიუჯეტით 100 %-იანი დაფინანსებასაც.
9.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარების გაორმაგება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამაში ფსორიაზით და პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება ნაცვლად არსებული 300 ლარისა 2023 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა 400 ლარით. ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება გათვალისწინებულია არა უმეტეს 2000 ლარისა, შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სმენის აპარატის შესაძენად განსაზღვრულია დახმარება არა უმეტეს 1500 ლარისა.
10	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო- მიზანშეწონილია ქალაქში მომრავლებულ უპატრონო ძაღლებზე რაეგირება,	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მაწანწალა ძაღლების იზოლირებისათვის , ცოფზე ვაქცინაციისა, კასტრაცია, სტერილიზაციისა და დაბირკვისათვის გათვალისწინებულია 50.000 ლარი
	ქორეოგრაფიული ანსამბლის შესაქმნელად თანხის გათვალისწინება	ქორეოგრაფიული ანსამბლის შესაქმნელად თანხის გათვალისწინება მოხდება ბიუჯეტში ცვლილების შეტანით 2023 წლის დასაწყისში
11	სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციის საჭიროების შესახებ	მუნიციპალიტეტის მერის განმარტებიტ გათვალისწინებულია სამხატვრო სკოლის სამუსიკო სკოლის შენობასი ბგადატანა და და ხელოვნების ცენტრის შექმნა.
12.	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობარეაბილიტაცია	საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობარეაბილიტაცია (კოდი 02 06 03)- მუნიციპალიტეტის მერიას დაგეგმილი აქვს ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკში ასევე სხვადასხვა ლოკაციაზე არსებულ სკვერებში ახალი ძელსკამების მონტაჟი და დამატება.
13.	იურდიულ საკითხთა კომისია კომისიის შექმნის შესახებ რომელიც რომელიც შეისწავლის ბინების გადახურვის საკითხს	დასმულ საკითხებთან დაკავშირებით იმსჯელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, რაზეც მომართვის ავტორს ეცნობება დამატებით.

“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ”

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრული იყო 6,3 % პროცენტით, ხოლო 2023-2025 წლებში 5,5% - ის ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ

მუნიციპალიტეტებს აცნობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები,

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები. ამასთან, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2023 წელს მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის უდიდესი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე.

ბიუჯეტის პარამეტრები: 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 915,0 ათასი ლარით. 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 4 798,5 ათასი ლარით.

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21 604,9 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 758,6 ათასი ლარით ანუ 22,02%-ით.

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადი

2023 წელს მუნიციპალიტეტიდან მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 1.14 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 19 304 ,9 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 958,6 ათასი ლარით ანუ 25.6 %-ით.

აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- ქონების გადასახადის 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2300,0 ათას ლარს; 2022 წლის პირველად ბიუჯეტთან შედარებით 2023 წლის ქონების გადასახადის პროგნოზი არ გაზრდილა, იგი 2022 წლის დასაწყისში შეადგენდა 2 500,0 ლარს, ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 10 .0 ათასი ლარით. 2022 წლის დასაწყისში ქონების გადასახადის გეგმა იყო 2500,0 ათასი ლარი დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2290,0 ათასი ლარით.)
- გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები (მიზნობრივი ტრანსფერი) განისაზღვრება 210,0 ათასი ლარით. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2023 წელს გაიზარდა 20,0 ათასი ლარით.
- 2023 წელს არა საგადასახადო შემოსავლების გეგმის პროგნოზი შეადგენს 3 000.0 ათას ლარს. წინა საანგარიშო წლის მაჩვენებელთან შედარებით არა საგადასახადო შემოსავლების გეგმა გაიზარდა 20,0 ათასი ლარით. იგი 2022 წელს შეადგენდა 2 980,0 ათას ლარს.

განვლილმა პერიოდმა გვაჩვენა რომ პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვეველი მდგომარეობა მნიშვნელოვნად ართულებს შემდგომი წლების ბიუჯეტების შემოსავლების პროგნოზირებას. ამასთან, შემოსავლების კუთხით არსებული გაურკვეველობა თავის მხრივ აისახება ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვისათვის სწორი პროგნოზების გაკეთებაზე. ამ პირობებში მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა. აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვრა არასაგადასახადო შემოსავლების გეგმის ზრდა ნაკლები პროცენტულობით.

2023 არასაგადასახადო შემოსავლები გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 240,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 220,1 ათასი ლარი.
 - ✓ მიწის იჯარა-20,0 ათასი ლარით;
- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1260,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 40,0 ათასი ლარი;
 - ✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1000,0 ათასი ლარი;
 - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 150,0 ათასი ლარი;
 - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 70,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1500,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 400.0 ათასი ლარი;
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში 400.0 ათასი ლარი;
- საგზაო მოძრაობის წსების დარღვევის გამო 550.0 ათასი ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 150.0 ათასი ლარი
- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 100.0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაციის) სახით მისაღები შემოსავლების გეგმის პროგნოზირება განხორციელდა კონსერვატიული პროგნოზების ფარგლებში, რათა მუნიციპალიტეტის მიერ არ მოხდეს შეუსრულებელი დაპირებების გაცემა. აღნიშნული ეხება როგორც მიმდინარე (მათ შორის, სოციალურ), ასევე კაპიტალურ ხარჯებს. გამომდინარე აქედან არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა განისაზღვრა იგივე მოცულობით როგორც 2022 წელს 100.0 ათას ლარით.

- მათ შორის არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან 80.0 ათას ლარს.
- შენობა ნაგებობების გაყიდვიდან - 20,0 ათასი ლარს.

სულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საპროგნოზო გეგმის მაჩვენებელი შეადგენს 24 915, 0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 24 915,0 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4 798.5 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ძირითადად დამატებითი ღირებულების გადასახადის 4 958.6 ათასი ლარით გაზრდით; 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ხარჯები

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 7 124.9 ათასი ლარი; მათ შორის:

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. იგი მზარდი დინამიკით გამოირჩევა უკანასკნელი წლების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ 2023-2025 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

აქედან გამომდინარე 2023 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2 764, ათასი ლარი;**

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება. ასევე საჭიროების შემთხვევაში თოვლის საფარისაგან, მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა შეკეთება. ორმოული შეკეთება, შუქნიშნების შეკეთება და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა.

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: ქალაქ წყალტუბოში შანიძის, ყაზბეგის, დედაენის ქუჩის, ბარათაშვილის და ჯავახიშვილის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. სოფ. ჟონეთის, რიონის, ყუმისთავის, ჩუნეშის, ცხუნკურის, ქვილიშორის, რიონის შიდა გზის, დერჩის მესხეთი , უკანეთის, ზედა ჩუნეშის, საყულიის, გეგუთის, სოფ . წყალტუბოს, ქვიტირის , მუხიანის გზის რეაბილიტაცია.

✓ **წყლის სისტემების განვითარება -1 300,0 ათასი ლარი;**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და სასმელი წყლით უზრუნველყოფის ხარჯებს.

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია სოფ, ცხუნკურში, ყუმისთავში, სოფ.წყალტუბოში, ჩუნეშის, გვიშტიბის, მუხიანის დღნორისის, დერჩის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

მ/შ სანიაღვრე სისტემის ექსპლოატაცია-300.0 ათასი ლარი.

განხორციელება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: ქალაქ წყალტუბოში სარაჯიშვილის, კოსტავას, გამსახურდიას, გვიშტიბში, ოფშკვიტში, სორმონში, ოფურჩხეთში, რიონში, სორმონში, სორმონში, გეგუთში, ტყაჩირში სანიაღვრე სისტემის ექსპლოატაცია.

გარე განათება -850,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელება ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ახალი ქსელის მშენებლობა.

განხორციელება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: სოფელ ბანოჯაში სათაფლიის გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. სოფ. ფარცხანაყანების, მეორე უბნის და ჩუნემის ტყაჩირის, მაღლაკში , პატრიკეთსი, უკანეთსი , საყულიაში, მექვენაში, ოფურჩხეთს გარე განათების მოწყობის სამუშაოები.დამაკავშირებელი გზის,

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია - 155,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, კერძოდ ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღისა და ეზოს კეთილმოწყობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება-250,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის. კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია. ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი. განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა. დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა, წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია. თანადაფინანსება გაგრძელდება პრინციპით 15/85. ანუ მოსახლეობა დაფარავს გადასახდელი თანხის 15 % ხოლო მუნიციპალიტეტი 85 %-ს

- ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1455,9 ათასი ლარი.** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები. სკვერებისა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.
- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 200,0 ათასი ლარით.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური

ზედამხედველობისათვის 50,0 ატას ლარს ზემოთ ღირებული პროექტების საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

მოქალაქეთა ჩართულობა- 100,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები. ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მოსახლეობის მეტი ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში.

✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა -1788,3 ათასი ლარი;

✓ მათ შორის:

დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა - 1658,3 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნებრივიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია გარემოს დაცვა, რაც თავის თავში მოიცავს მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, კაპიტალურ დაბანდებებს დასუფთავების სფეროში.

უპატრონო ცხოველების ოპერირება-50,0 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება უზედამხედველო ძაღლის იზოლირება. ცოფზე ვაქცინაცია. კასტრაცია. სტერილიზაცია და დაბირკვა.

ნაგავშემკრები კონტეინერები -100,0 ათასი ლარი.

განათლება - 4330,4 ათასი ლარი, მათ შორის : მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლი მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

✓ სკოლამდელი განათლება - 4330,4 ათასი ლარი;

2022 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 857,6 ათასი ლარით , რაც გამოწვეულია სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვთა კვების რაციონის გაუმჯობესებისათვის, პედაგოგების ხელფასების მატებისათვის და საბავშვო დაწესებულებებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 3 232,8 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტ სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით.

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა. ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული კლუბების გაერთიანების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1 947,9 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს ბიბლიოთეკების, კლუბების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, მუზეუმებისა და კულტურის სხვა ობიექტების დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას, ეტაპობრივად განახორციელებს ხელფასების ზრდას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

კულტურული ღონისძიებები-130.0 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდობის ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 2 308,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ამიტომ გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სერვისების მიღებაზე.

ასევე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება მთავარი ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სუბსიდირება - 152,0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის აღრიცხვა, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; COVID- 19-ის ტესტირება, დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით, C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებით შემთხვევაში მკურნალობა.

ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის სუბსიდირება- 385,0 ათასი ლარით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 200 სოციალურად დაუცველი და შეჭირვებულის კვებით უზრუნველყოფა. ამოქმედდა და წარმატებით ფუნქციონირებს ე.წ. „შინ მოვლის პროგრამა“. მუნიციპალიტეტი შინ მოვლის პროგრამით მომსახურეობას უწევს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 20 შეჭირვებულ მოქალაქეს, რომლებიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობენ. გაუმჯობესდება კვების მენიუ. ნაცლად არსებული 2,7 ლარისა კვების ღირებულება შეადგენს 3,15 ლარს.

ა(ა)იპ “ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-184,0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18- წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეციარების ზრდა განვითარების ხელშეწყობა. მათი იზოლაციიდან გამოყვანას და საზოგადოებასთან ინტეგრაცია. ამჟამად ა(ა)იპ “ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ში სწავლებას გადის 18 აღსაზრდელი.

✓ **სოციალური პროგრამები - 1 530, 0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება- -3,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის*

ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ასი და მეტი წლის უხუცესების ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო დახმარება- -17,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებილ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება- -680,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება სხვადასხვა კატეგორიებზე. რათა მოხდეს მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათი ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახების მატერიალური წახალისება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება -115,0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება- -625,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად ჯანმრთელობის გაუმჯობესება.
- სტიქიის ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება-140, ათასი ლარი; ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა-7.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული საჭიროებების კვლევა.

➤ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი -6 130.6 ათასი ლარი, მათ შორის: მმართველობითი ხარჯების 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1334,8 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია არაფინანსური აქტივების და საქონელი და მომსახურეობის მუხლის ზრდით. კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდით, გამომდინარე იქედან რომ იგეგმება ხელფასების ზრდა.

მმართველობითი ხარჯების დაფინანსება:პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯებს და ა.შ.

საკრებულოს დაფინანსება - 1 576,6 ათასი ლარი;

- ✓ მერია - 4232,9 ათასი ლარი;
- ✓ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა- 193,1ათასი ლარი
- ✓ სარეზერვო ფონდი - 100,0 ათასი ლარი;
- ✓ თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 28,0 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 56,0 ათასი ლარი
- ✓ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათასი ლარი/ 2022 წლის პროექტი
	სულ ჯამი	24 915,0
0100	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6 130 ,6
01 0101	საკრებულო	1 576,6
0101 02	მერია	4 232,9
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა	193,1
0101 04	თანამშრომელთა გადამზადება	28,0
010201	სარეზერვო ფონდი	100,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7 124,9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	2 764,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 300,0
02 03	გარე განათება	850,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	155,0
0205	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	250,0
0206	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1455,9
020603	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია	250,0
0208	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	100,0
0209	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	100,0
0210	მოქალაქეთა ჩართულობა	150,0
0211	ოჯახების სოციალ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	50,0
03 00	დასუფთავება გარემოს დაცვა	1788,3
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	50,0
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1658,3
0305	ნაგავშემკრები კანტეინერები	80,0
04 00	განათლება	4 330,4
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	4 330,4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3 232,8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 234,9
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა	150,0
0502	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 717,9
050203	რელიგიური დაწესებულებების ხელშეწყობა	100,0
0503	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 308,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	152,0
06 02	სოციალური პროგრამები	2 156,0
060201	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	385,0
060202	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	3,0
060203	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომ. გაუმჯობესებისათვის	115,0
060204	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა სარიტუალო	17,0
060205	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ერთჯერადი	680,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
	დახმარება	
060206	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	184,0
060207	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	625,0
060208	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	140,0
0603	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7,0

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას

- ვალის დაფარვის მაჩვენებელი განისაზღვრება 73.0 ათასი ლარის ოდენობით; მათ შორის ძირი თანხა 55.6 ათასი ლარი, სესხის პროცენტი- 17.4 ათასი ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 241,9	88,9	3 152,9	5 875,2	102,0	5 773,2	6 175,0	130,2	6 044,8
702	თავდაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	10 124,5	7 103,8	3 020,7	16 292,4	10 072,6	6 219,8	3 014,0	0,0	3 014,0
705	გარემოს დაცვა	1 523,3	20,9	1 502,4	2 039,9	3,1	2 036,9	1 933,4	0,0	1 933,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 205,7	529,7	2 676,0	3 996,4	299,0	3 697,5	3 865,8	0,0	3 865,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	119,1	71,7	47,4	135,3	82,0	53,3	152,0	72,8	79,2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 377,4	0,0	2 377,4	3 194,4	250,0	2 944,4	3 232,8	0,0	3 232,8
709	განათლება	2 622,2	384,0	2 238,2	3 882,9	387,9	3 494,9	4 330,4	0,0	4 330,4
710	სოციალური დაცვა	1 839,2	3,0	1 836,2	1 936,3	6,0	1 930,3	2 156,0	7,0	2 149,0

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 56,6ათასი ლარი;
 - თავდაცვა - 1,5 ათასი ლარი;
 - ეკონომიკური საქმიანობა - 4120,0 ათასი ლარი;
 - გარემოს დაცვა - 209,9ათასი ლარი;
 - განათლება -181,0 ათასი ლარი;
 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა- 173,8
 - სოციალური დაცვა -5,0 ათასი ლარი;
- შესაძლებელია ითქვას რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსის გამოყოფას დ ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე. რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2022 წლის ----- დეკემბერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილება (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ www.matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016613 თარიღი 20/12/2020).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

მომზადა:

ფ. გაგოშიძე

შეთანხმებულია:

გ. ყურაშვილი

მ. კანკაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

თავი I.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	26 963,8	9 284,1	17 679,8	30 767,6	9 881,3	20 886,3	24 815,0	210,0	24 605,0
გადასახადებო	14 648,2	0,0	14 648,2	17 730,0	0,0	17 730,0	21 604,9	0,0	21 604,9
გრანტები	9 575,3	9 284,1	291,3	9 881,3	9 881,3	0,0	210,0	210,0	0,0
სხვა შემოსავლები	2 740,3	0,0	2 740,3	3 156,3	0,0	3 156,3	3 000,1	0,0	3 000,1
II. ხარჯები	12 491,1	520,4	11 970,7	19 685,4	882,0	18 803,3	21 496,9	210,0	21 286,9
შრომის ანაზღაურება	2 177,6	66,7	2 110,9	3 665,0	79,4	3 585,6	4 305,3	99,4	4 205,9
საქონელი და მომსახურება	2 196,6	379,0	1 817,6	3 953,3	711,4	3 241,9	2 855,1	29,1	2 826,0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	28,8	0,0	28,8	35,0	0,0	35,0	17,4	0,0	17,4
სუბსიდიები	6 124,9	71,7	6 053,1	8 545,9	82,0	8 463,9	10 733,0	72,8	10 660,2
გრანტები	16,4	0,0	16,4	1 073,5	0,0	1 073,5	1 455,0	0,0	1 455,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 446,6	3,0	1 443,6	1 406,4	7,4	1 398,9	1 477,6	8,7	1 468,9
სხვა ხარჯები	500,4	0,0	500,4	1 006,2	1,8	1 004,5	653,5	0,0	653,5
III. საოპერაციო საღირსე	14 472,7	8 763,6	5 709,0	11 082,2	8 999,3	2 082,9	3 318,1	0,0	3 318,1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 085,3	7 681,6	4 403,8	17 367,4	10 320,5	7 046,9	3 262,5	0,0	3 262,5
ზრდა	12 562,1	7 681,6	4 880,6	17 667,4	10 320,5	7 346,9	3 362,5	0,0	3 362,5
კლება	476,8	0,0	476,8	300,0	0,0	300,0	100,0	0,0	100,0
V. მთლიანი საღირსე	2 387,3	1 082,1	1 305,3	-6 285,2	-1 321,2	-4 964,0	55,6	0,0	55,6

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	27 440,6	9 284,1	18 156,6	31 067,6	9 881,3	21 186,3	24 915,0	210,0	24 705,0
შემოსავლები	26 963,8	9 284,1	17 679,8	30 767,6	9 881,3	20 886,3	24 815,0	210,0	24 605,0
არაფინანსური აქტივების კლება	476,8	0,0	476,8	300,0	0,0	300,0	100,0	0,0	100,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	25108,9	8202,0	16906,9	37408,8	11202,5	26206,3	24915,0	210,0	24705,0
ხარჯები	12491,1	520,4	11970,7	19685,4	882,0	18803,3	21496,9	210,0	21286,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	12562,1	7681,6	4880,6	17667,4	10320,5	7346,9	3362,5	0,0	3362,5
ვალდებულებების კლება	55,6	0,0	55,6	56,0	0,0	56,0	55,6	0,0	55,6
ნაშთის ცვლილება	2 331,7	1 082,1	1 249,7	-6 341,2	-1 321,2	-5 020,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 24815,0 ათასი ლარით:

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	26 963,8	9 284,1	17 679,8	30 767,6	9 881,3	20 886,3	24 815,0	210,0	24 605,0
გადასახადები	14 648,2	0,0	14 648,2	17 730,0	0,0	17 730,0	21 604,9	0,0	21 604,9
გრანტები	9 575,3	9 284,1	291,3	9 881,3	9 881,3	0,0	210,0	210,0	0,0
სხვა შემოსავლები	2 740,3	0,0	2 740,3	3 156,3	0,0	3 156,3	3 000,1	0,0	3 000,1

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 21604,9 ათასი ლარით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი

		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
გადასახადები	14 648,2	0,0	14 648,2	17 730,0	0,0	17 730,0	21 604,9	0,0	21 604,9
დღგ	11 793,8		11 793,8	15 440,0		15 440,0	19 304,9		19 304,9
ქონების გადასახადი	2 854,4	0,0	2 854,4	2 290,0	0,0	2 290,0	2 300,0	0,0	2 300,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 543,7		1 543,7	1 690,0		1 690,0	1 700,0		1 700,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	211,1		211,1	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	16,4	0,0	16,4	10,0	0,0	10,0	10,0	0,0	10,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0			1,0		1,0	1,0		1,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	16,4		16,4	9,0		9,0	9,0		9,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	258,8	0,0	258,8	190,0	0,0	190,0	190,0	0,0	190,0
ფიზიკურ პირებიდან	177,5		177,5	140,0		140,0	140,0		140,0
იურიდიულ პირებიდან	81,3		81,3	50,0		50,0	50,0		50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	824,5	0,0	824,5	400,0	0,0	400,0	400,0	0,0	400,0
ფიზიკურ პირებიდან	60,9		60,9	50,0		50,0	50,0		50,0
იურიდიულ პირებიდან	763,6		763,6	350,0		350,0	350,0		350,0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 210. 0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	9 575, 3	9 284,1	291,3	9 881, 3	9 881,3	0,0	210, 0	210,0	0,0

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	289,8		289,8	2,0	2,0		0,0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 285,6	9 284,1	1,5	9 879,3	9 879,3	0,0	210,0	210,0	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	171,5	170,0	1,5	190,0	190,0	0,0	210,0	210,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	170,0	170,0		190,0	190,0		210,0	210,0	
სპეციალური ტრანსფერი	1,5		1,5	0,0			0,0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	9 114,1	9 114,1	0,0	9 689,3	9 689,3	0,0	0,0	0,0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	8 103,3	8 103,3		8 224,3	8 224,3		0,0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	704,0	704,0		704,0	704,0		0,0		
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება	306,8	306,8		301,0	301,0		0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	0,0			460,0	460,0		0,0		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3000,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2 740,3	0,0	2 740,3	3 156,3	0,0	3 156,3	3 000,1	0,0	3 000,1
შემოსავლები საკუთრებიდან	811,3	0,0	811,3	396,3	0,0	396,3	240,1	0,0	240,1
პროცენტები	314,6		314,6	176,3		176,3	0,0		
რენტა	496,6	0,0	496,7	220,0	0,0	220,0	240,0	0,0	240,1

	7			0			1		
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	419,5		419,5	200,0		200,0	220,1		220,1
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	77,2		77,2	20,0		20,0	20,0		20,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 308,6	0,0	1 308,6	1 260,0	0,0	1 260,0	1 260,0	0,0	1 260,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 241,5	0,0	1 241,5	1 190,0	0,0	1 190,0	1 190,0	0,0	1 190,0
სანებართვო მოსაკრებელი	79,4		79,4	40,0		40,0	40,0		40,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 000,0		1 000,0	1 000,0		1 000,0	1 000,0		1 000,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	162,1		162,1	150,0		150,0	150,0		150,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	67,1	0,0	67,1	70,0	0,0	70,0	70,0	0,0	70,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	67,1		67,1	70,0		70,0	70,0		70,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	476,3		476,3	1 500,0		1 500,0	1 500,0		1 500,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	1,0		1,0	0,0		0,0	0,0		0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	143,1		143,1	0,0		0,0	0,0		0,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 21496,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
II. ხარჯები	12 491,1	520,4	11 970,7	19 685,4	882,0	18 803,3	21 496,9	210,0	21 286,9
შრომის ანაზღაურება	2 177,6	66,7	2 110,9	3 665,0	79,4	3 585,6	4 305,3	99,4	4 205,9
საქონელი და მომსახურება	2 196,6	379,0	1 817,6	3 953,3	711,4	3 241,9	2 855,1	29,1	2 826,0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	28,8	0,0	28,8	35,0	0,0	35,0	17,4	0,0	17,4
სუბსიდიები	6 124,9	71,7	6 053,1	8 545,9	82,0	8 463,9	10 733,0	72,8	10 660,2
გრანტები	16,4	0,0	16,4	1	0,0	1 073,5	1	0,0	1 455,0

				073,5			455,0		
სოციალური უზრუნველყოფა	1 446,6	3,0	1 443,6	1 406,4	7,4	1 398,9	1 477,6	8,7	1 468,9
სხვა ხარჯები	500,4	0,0	500,4	1 006,2	1,8	1 004,5	653,5	0,0	653,5

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 3262,5 ათასი ლარით. მათ შორის,

ა) განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა - 3362,5 ათასი ლარით თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბიუჯეტი	2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	264,9	230,6	63,1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 359,8	15 958,7	2 985,4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	144,5	440,0	104,9
04 00	განათლება	368,2	458,3	10,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	380,3	574,8	177,8
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	44,4	5,0	21,3
	სულ	12 562,1	17 667,4	3 362,5

ბ) განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება - 100,0 თასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	268,4	300,0	100,0
ძირითადი აქტივები	44,348	10,0	20,0
არაწარმოებული აქტივები	224,042	290	80
მიწა	224,042	290,0	80,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
70 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 241,9	88,9	3 152,9	5 875,2	102,0	5 773,2	6 175,0	130,2	6 044,8

70 2	თავდაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70 3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70 4	ეკონომიკური საქმიანობა	10 124, 5	7 103,8	3 020,7	16 292, 4	10 072,6	6 219,8	3 014, 0	0,0	3 014,0
70 5	გარემოს დაცვა	1 523, 3	20,9	1 502,4	2 039, 9	3,1	2 036,9	1 933, 4	0,0	1 933,4
70 6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 205, 7	529,7	2 676,0	3 996, 4	299,0	3 697,5	3 865, 8	0,0	3 865,8
70 7	ჯანმრთელობის დაცვა	119, 1	71,7	47,4	135, 3	82,0	53,3	152, 0	72,8	79,2
70 8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 377, 4	0,0	2 377,4	3 194, 4	250,0	2 944,4	3 232, 8	0,0	3 232,8
70 9	განათლება	2 622, 2	384,0	2 238,2	3 882, 9	387,9	3 494,9	4 330, 4	0,0	4 330,4
71 0	სოციალური დაცვა	1 839, 2	3,0	1 836,2	1 936, 3	6,0	1 930,3	2 156, 0	7,0	2 149,0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 55,6 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3286,8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
III. საოპერაციო სალდო	14 472,7	8 763,6	5 709,0	11 082,2	8 999,3	2 082,9	3 286,8	0,0	3 286,8
V. მთლიანი სალდო	2 387,3	1 082,1	1 305,3	-6 285,2	-1 321,2	-4 964,0	55,6	0,0	55,6

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 6 586 078 ლარიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ვალდებულებებისთვის განისაზღვრა 3 200 639 ლარი, 2021 წლის გარდამავალი პროექტებისთვის, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2021 წელს - 69 499 ლარი, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით ჩამორიცხული თანხები (გასული წლები) – 330 940 ლარი და შესაბამისად თავისუფალი ნაშთი განისაზღვრა 2 985 000 ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
VII. ვალდებულებების ცვლილება	-55,6	0,0	-55,6	-56,0	0,0	-56,0	-55,6	0,0	-55,6
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	55,6	0,0	55,6	56,0	0,0	56,0	55,6	0,0	55,6
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	55,6	0,0	55,6	56,0	0,0	56,0	55,6	0,0	55,6

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენს 232,1 ათ ლარს, 2023 წლისთვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) იგეგმება ვალის შემცირება 73,0 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩება ვალი 159,1 ათ. ლარი.

თავი II. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 13. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები.

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01). საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ასევე საჭიროების შემთხვევაში თოვლის საფარისგან, მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთება, ორმოული შეკეთება, შუქნიშნების შეკეთება და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

პროგრამის მიზანია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების გამარტივება, გამტარიანობის ზრდა.

ა.ა) ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზების მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა გადაადგილების გამარტივება.

ა.ბ) ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02). მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისგან გაწმენდას, სტიქის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.

ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

ბ) პროგრამა: წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02). წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე სისტემების გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.

ბ.ა) ქვეპროგრამა: სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01). სანიაღვრე ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემურ ნაწილს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც მიმდინარე

საექსპლოატაციო, ასევე, სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოები; შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანია: ნალექების გამტარუნარიანობის გაუმჯობესება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისა დაცვა შესაძლო წყალმომარაგებისაგან.

ბ.ბ) ქვეპროგრამა: სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 02 02). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. სასმელი წყლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.

გ) პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03). ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;

გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.

პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებით უსაფრთხო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისათვის.

გ.ა) ქვეპროგრამა: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01). მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერჯის ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

ქვეპროგრამის მიზანია: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადსგილება.

გ.ბ) ქვეპროგრამა: გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02). დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში.

პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

დ) პროგრამა : ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04). პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ავარიული შენობების რეაბილიტაცია.

ე) პროგრამა : ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05). პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, სამირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

პროგრამის მიზანია: საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

ვ) პროგრამა : კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება;

პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით;

ვ.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში სკვერების, გაზონების და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა. აგრეთვე დასასვენებელი საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, მათი ადაპტირება ქალებისა და მამაკაცების, ბავშვების, შშმ პირების საჭიროებებზე.

ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელება; მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება და რეაბილიტირება.

ვ.ბ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება (პროგრამული კოდი 02 06 04). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-

პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია;

ქვეპროგრამის მიზანია: ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისთვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ზ) პროგრამა : საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 08)

პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

თ) პროგრამა: სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09). პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

ი) პროგრამა: მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10). პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები.

ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები.

ა) პროგრამა: უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02). პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება; ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორების შემირება.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა უპატრონო ცხოველებისგან.

ბ) პროგრამა: დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03). მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის მოგროვებას და გატანას. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.

პროგრამის მიზანია: სანიეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

გ) პროგრამა: ნაგავშემკრები კონტეინერები (პროგრამული კოდი 03 05). წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა.

პროგრამის მიზანია: შეუფერხებლად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

3. პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების გაერთიანება პროგრამის განხორციელება.

ა) პროგრამა: საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი

ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი 1500 აღსაზრდელით.

სულ საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 404 თანამშრომელი (ქალი - 348, კაცი - 56), მათ შორის 122 აღზრდელი და 61 თანაშემწე.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;

პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების თანაბრად, ხელმისაწვდომობა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება. უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა.

4. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პრიორიტეტი მოიცავს უამრავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს. მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდების მიგრაციის თემა, შიდა თუ საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა. ამისთვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ინოვაციების ხელშეწყობას და განათლების პარალელურად მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისთვის კულტურისა და სპორტის განვითარებას. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, ხელოვნების და კულტურის დარგის გამოჩენილი ახალგაზრდების წახალისებას. ყველა მოზარდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

ა) პროგრამა : სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული წყალტუბოელი სპორტსმენების წახალისება.

მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა,

ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

ა.ა) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით.

ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის მასობრივი ღონისძიებების გატარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

ა.ბ) ქვეპროგრამა: სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-სამეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ადგილობრივ სპორტსმენტთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტსმენტთა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოასპარეზე 18 წლამდე ასაკის პერსპექტიული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.

ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის (პარასპორტის) განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ეროვნულ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, მუნიციპალიტეტის ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე,

სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენტა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენტა ეკიპირებით უზრუნველყოფა და ა.შ.

პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მ. შ. ქალთა შორის სპორტული სახეობების პოპულარიზაციას და ქალთა გუნდების ჩამოყალიბებას

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ხელი შეუწყოს მაღალი მიღწევების სპორტში მეტი მოზარდის ჩართვას. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენას ქვეყნის მასშტაბით.

ა.ბ.ა) ქვეპროგრამა: წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. სულ წყალტუბო არენაში დასაქმებულია 17 თანამშრომელი (ქალი - 4, კაცი - 13).

ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.

ა.ბ.ბ) ქვეპროგრამა : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02). ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში. ღონისძიების ფარგლებში ხდება ხელშეწყობა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში და სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. სულ სპორტული კლუბების გაერთიანებაში დასაქმებულია 53 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 41). სპორტულ სექციებში სულ რეგისტრირებულია 530 აღსაზრდელი (გოგო - 78, ბიჭი - 452).

ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახის პოპულარიზაცია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ა.გ) ქვეპროგრამა: სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 03). ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის, ნინოშვილის ქუჩებზე მინი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით

შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. სპორტული ობიექტებიგულისხმობს სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა და სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია; ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა, მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე.

ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები.

პროგრამის მიზანია: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ბ.ა) ქვეპროგრამა: კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01). პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

პროგრამის მიზანი: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება

ბ.ბ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და

განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. სულ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში დასაქმებულია 76 თანამშრომელი (ქალი - 60, კაცი - 16).

ქვეპროგრამის მიზანია: ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა შემოქმედებით საქმიანობაში.

ბ.გ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 30 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა. სულ კულტურის ცენტრში დასაქმებულია 140 თანამშრომელი (ქალი - 86, კაცი - 54).

ქვეპროგრამის მიზანია: ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალგაზრდები ჩართულობა.

ბ.დ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშევრა. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. სულ ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრში დასაქმებულია 7 თანამშრომელი (ქალი - 7).

ქვეპროგრამის მიზანია: საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე ტურისტული ადგილების შესახებ ცნობადობის ამაღლება და ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესება.

ბ.ბ) ქვეპროგრამა: კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02). მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლის მანძილზე განხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, კულტურული დღეები, გამოფენები, კორკურსები და სხვა კულტურული აქტივობები. ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

ბ.გ) ქვეპროგრამა: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

ქვეპროგრამის მიზანი: ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

გ) პროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობისათვის ისეთი გარემოს შექმნა სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა. ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. პროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის 7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმადაც, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა.

5. პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00).

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01). პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

ა.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა; ცხოვრების ჯანსაღი წესის გატარება; სამედიცინო სტატისტიკის მონიტორინგი; იმუნური პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ცივი ჯაჭვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ყოველთვიური მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რეგიონებში; ჩ VI -19-ის ტესტირება დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით; ჩ ჰეპატიტის სკრინინგი და დადებიტ შემთხვევაში მკურნალობა.

სულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 13 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 1).

პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

ა.ბ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით.

2022 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი (მათ შორის 123 ქალი და 67 კაცი).

სულ სათნოების სახლში დასაქმებულია 10 თანამშრომელი (ქალი - 6, კაცი - 4).

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინ მიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.

პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების თანადგომა.

ა.გ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის

ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა,

ა.დ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.

ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, ქვეპუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზეც, რომელთა შვილები დაიბადა 2022 წლის დეკემბერში და არა აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.

ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.

ა.ე) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04).

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 250 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით.

ასევე გათვალისწინებულია დახმარება ახალი კორონავირუსის ინფექციით გარდაცვლილ პირთა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტონგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში განსაზღვრულია 0–დან 65 000–ის ჩათვლით, თითოეულზე 400 ლარის ოდენობით.

ა.ვ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05).

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

- ა) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება – 1 000 ლარი;
- ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;
- გ) დედ–მამით ობოლი ბავშვის დახმარება – კვარტალში ერთხელ 400 ლარი;
- დ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;
- ე) ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.
- ვ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარი;
- ზ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება – 2000 ლარი;

- თ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერემონრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;
- ი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონსპეცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;
- კ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.
- ლ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;
- მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო დარჩა უსახლკაროდ და არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა
- ნ) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა
- ო) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.
- პ) 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.
- ჟ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.
- რ) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 50 ლარის ღირებულებისა.
- ს) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 1500 ლარი
- ტ)) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 1500 ლარი.
- უ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.
- ფ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.
- ქ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა
- ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწასებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ე) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.

შ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი

ჩ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

ც) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ა.ზ) ქვეპროგრამა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სულ ინკლუზიური ცენტრში დასაქმებულია 16 თანამშრომელი (ქალი - 11, კაცი - 5).

მიზანი: შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ა.თ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვეო

პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარისა.

ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების, სამედიცინო კვლევების, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.

ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (Ic -10) განვითარების ზოგადი აშლილობების (84.0 - 84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:

- ა) 84.0 ბავშვთა აუტიზმი.
- ბ) 84.1 ატიპიური აუტიზმი.
- გ) 84.2 რეტის სინდრომი.
- დ) 84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა.
- ე) 84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით.
- ვ) 84.5 ასპერგერის სინდრომი.
- ზ) 84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი.
- თ) 84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:

- ა) 78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია.
- ბ) 78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.
- გ) 78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.
- დ) 78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირები. თანხის ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ამ კუთხით შექმნილი „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონლური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -200 ლარისა.

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა.

ა.ი) ქვეპროგრამა: სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08). აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2023 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოვის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად არაუმეტეს - 5000 ლარი.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

ბ.ა) წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდების ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდობისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (17,5 წრე-382 მოსწავლე) , სამუსიკო სკოლა (140 მოსწავლე) და სამხატვრო სკოლა (122 მოსწავლე) .

2021 წლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ქალთა საერთაშორისო და დედის დღესთან დაკავშირებით, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, დედაენის დღე, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და სხვა. აგრეთვე ევროპული ჩემპიონატზე ტაიკვანდოში (2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი).

სამუსიკო სკოლამ მონაწილეობა მიიღო მე-14 ეროვნულ კონკურსზე „მომავლის ვარსკვლავები“, ჩატარდა დახურული კონცერტები. სამხატვრო მიმართულებით მოეწყო გამოფენები, კომფერენციები.

ბ.ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება

ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 30 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ასევე მის დაქვემდებარებაში ფოლკლორული ანსაბლი „ნადური“, სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი.

2021 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ადგილზე მისვლით თეატრალური და სხვა ღონისძიებები.

ბ.გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

2021 წლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა უმასპინძლა ინფო ტურს ყაზახეთიდან და ყირგიზეთიდან კურორტის პოპულარიზაციის მიზნით, აგრეთვე განხორციელდა წყალტუბოს როგორც ტურისტული კურორტის რეკლამირება. ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე ჩატარდა 2 კონფერენცია თემებზე: სტანდარტები ტურიზმში ; კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი.

ბ.დ)კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, აგრო ტურისტული ფესტივალი, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილი, სიყვარულის დღე, ფაშოზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღე, სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სახალხო დღესასწაული „ოტიაობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურეობა; საახალწლო ღონისძიება.

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 9 ეკლესიის რეაბილიტაცია: სოფ. თერნალში მდებარე ღვთისმშობლის შობის ეკლესიის სამრეკლოს მშენებლობა; 9 აპრილის ქ-ზე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია; სასულიერო გიმნაზიასთან მდებარე ტაძრის სახურავის შეკეთება; წმ.მარინეს სახელობის ეკლესია; სოფ.გეგუთში წმ. ელიას სახელობის ეკლესია; 9 აპრილის ქუჩაზე ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; გამსახურდიას ქუჩაზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია.

გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა(პროგრამული კოდი 05 03)

ახალგაზრდობის მხარდაჭერა გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები: ეტალონი; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები; შშმ პირებისთვის საჩუქარი.

6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 97,4%-ით (გეგმა 2010,3 ათასი, ფაქტი 1958,3 ათასი ლარი). მათ შორის : საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დაფინანსებას მოხმარდა 119,1 ათასი ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსებას 242,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარებას 1,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის -105,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი- 11,9 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება- 708,8 ათასი ლარით, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი -120,9 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება - 596,8 ათასი ლარით, ხოლო სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება -52,0 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების პროცენტი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 010,3	1 958,3	97,4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	131,8	119,1	90,4
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	131,8	119,1	90,4
06 02	სოციალური პროგრამები	1 878,4	1 839,2	97,9

06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	249,6	242,2	97,0
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	2,0	1,0	50,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	106,0	105,6	99,6
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	11,9	11,9	99,7
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	712,2	708,8	99,5
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	140,5	120,9	86,0
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	604,2	596,8	98,8
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	52,0	52,0	100,0

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ემსახურება შემდეგს: ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების ასაცრელი მასალის მონიტორინგი), სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების პროგრამა (ვერბალური აუტოფსია), იმუნოლოჯისტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა, 5-10 წლამდე ასაკის ბავშვების ჰელმინთებზე გამოკვლევა, ანტირაბიული პროგრამის განხორციელება, ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობა.

ცენტრის 2021 წლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გამკველული იქნა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში კოვიდ-19 -ის პროგრამით 19 717 ბენეფიციარი, ხოლო “C” ჰეპატიტის სკრინინგის ფარგლებში 8500 კაცი.

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2021 წლისათვის პროგრამით სარგებლობდა 190 ბენეფიციარი, რომელთა გამოკვება ხდება დღეში ერთჯერ. 1 ბენეფიციარზე დღიური ხარჯი საშუალოდ შეადგენს 2,3 ლარს, ხოლო ჯამურად 2021 წელს ბენეფიციართა კვებაზე დაიხარჯა 149 599 ლარი. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი ახორციელებს აგრეთვე ბენეფიციართა შინმვლის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ 20 ბენეფიციარს.

შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. ასეთი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არის რეგისტრირებული 2 მოქალაქე.

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03)

დახმარება გაეწია 7 ოჯახს- რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65 000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებული 1 და მეორე ახალშობილზე ერთჯერადად 300 ლარი; მრავალშვილიან ოჯახებს: (მესამე შვილის შეძენა) 61 ოჯახს -500 ლარი; დახმარება მიიღო მეოთხე შვილის შეძენაზე შვიდმა ოჯახმა, თითოეულმა 700 ლარის ოდენობით. დახმარება მიიღო აგრეთვე მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე შვილის შეძენაზე - 10 ოჯახმა მიიღო 1000 ლარი თითოეულზე. აგრეთვე დახმარება გაეწია 3 ოჯახს ერთი და მეტი ტყუპის შეძენაზე.

სოციალურად დაუცველ 160-მა ოჯახმა (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65 000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო 300 ლარი.

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 43 ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალა ოჯახის წევრი (თითოეულს 250 ლარი);

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

2021 წელს ერთჯერადი დახმარება მიეცა: საქართველოს და სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილეს 492 პირს; ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 24 პირს; 2008 წლის ომში დაღუპულთა 4 ოჯახს-თითოეულს 1800 ლარის ოდენობით.

დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 156 ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვრა დახმარება - 250 ლარი.

ზ) ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.

2021 წელს ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ირიცხებოდა 17 ბენეფიციარი, რომლებიც უზრუნველყოფილია დღეში ორჯერადი სამკომპონენტო კვებით. კოვიდ 19-ის პანდემიიდან გამომდინარე 2021 წელს შეზღუდულად მიმდინარეობდა სხვადასხვა ღონისძიებები, თუმცა მაინც ჩატარდა რიგი ღონისძიებები. აგრეთვე სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა აკადემიური , მეტყველების, ქცევის, ფუნქციური , კოგნიტური უნარების, მსხვილი და ნატიფი მოტორული, ემოციური უნარების გამომუშავების მიზნით.

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ცერემბრალური დამბლით დაავადებულ 98 პირს ; მკვეთრად გამოხატულ შესამღებლობის მქონე 103 პირს - ფულადი დახმარება თითოეულს 250 ლარის ოდენობით; თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე, ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ 44 პირს -თითოეულს 1800 ლარი; შშმ 50 ბავშვს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით; მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 55 პირს -თითოეულს 300 ლარის ოდენობით; ფსორიოზით დაავადებულ 49 პირს; შშმ 3 სტუდენტს გაეწია დაფინანსება გადასხდელი თანხის 50 პროცენტის ოდენობით; პარკინსონით დაავადებულ 37 პირს -თითოეულს 200 ლარის ოდენობით; ფენილკეტონური დაავადების მქონე 18 წლამდე 5 ბავშვს-თითოეულს 500 ლარი; ონკოლოგიური დაავადების მქონე 3 ბავშვს- თითოეულს 500 ლარი;

1691 ოჯახს გაეწია გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების პაციენტის მიერ გადასახდელი დარჩენილი წილის 50%, არაუმეტეს 1000 ლარისა.

ი) სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა მოიცავს 2021 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს - 2000 ლარი.

ამ მიმართულებით დახმარება გაეწია სტიქიისგან დაზარალებულ 99 ოჯახს.

2.5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა შეადგენს 25 388.5 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2022 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 24 045.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (31 067.6 ათასი ლარი) 77,4%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 13 023,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (17 730,0 ათასი ლარი) 73,5%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7 962,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9 881,3 ათასი ლარი) 480,66,4%-ია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2 717,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3156,3 ათასი ლარი) 86,1%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 235,0 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 484,4 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 954,6 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –915,8 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 127,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 341.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (300,0 ათასი ლარი) 113,7%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 19,9 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 321,1 ათასი ლარი.

ა) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობები

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			შესრულების პროცენტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	25,388.5	8,334.3	17,054.2	24,045.0	7,962.9	16,082.0	94.7
შემოსავლები	25,120.3	8,334.3	16,786.0	23,704.0	7,962.9	15,741.1	94.4
გადასახადები	14,457.4	0.0	14,457.4	13,023.9	0.0	13,023.9	90.1
დღგ	12,866.2		12,866.2	11,588.7		11,588.7	90.1
ქონების გადასახადი	1,591.2	0.0	1,591.2	1,435.2	0.0	1,435.2	90.2
გრანტები	8,334.3	8,334.3	0.0	7,962.9	7,962.9	0.0	95.5
სხვა შემოსავლები	2,328.6	0.0	2,328.6	2,717.2	0.0	2,717.2	116.7
შემოსავლები საკუთრებიდან	353.8	0.0	353.8	719.3	0.0	719.3	203.3
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	903.7	0.0	903.7	954.6	0.0	954.6	105.6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,069.2		1,069.2	915.8		915.8	85.7
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2.0		2.0	127.5		127.5	6417.4

არაფინანსური აქტივების კლება	268.2	0.0	268.2	341.0	0.0	341.0	127.2
ძირითადი აქტივები	20.0		20.0	19.9		19.9	99.5
არაწარმოებული აქტივები	248.2	0.0	248.2	321.1	0.0	321.1	129.4
მიწა	248.2		248.2	321.1		321.1	129.4

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 72,7 % შეადგინა (გეგმა 36 505,1 ათასი ლარი, ფაქტი 26 546,0 ათასი ლარი). ხარჯები მიმართული იქნა :

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება –15 063,9 ათასი ლარით;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა –1 571,3 ათასი ლარით;
- ✓ განათლება – 2 697,1 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა,რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი– 1 962,0 ათასი ლარით;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1 585,8 ათასი ლარით;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი -3 665,9

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელები

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	31,505.1	10,671.8	20,833.3	26,546.0	8,516.2	18,029.8	84.3

01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,761.9	86.6	4,675.4	3,665.9	78.4	3,587.5	77.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,979.5	10,170.8	7,808.7	15,063.9	8,039.0	7,024.9	83.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,666.7	0.0	1,666.7	1,571.3	0.0	1,571.3	94.3
04 00	განათლება	2,877.7	343.8	2,533.9	2,697.1	336.3	2,360.8	93.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2,486.2	0.0	2,486.2	1,962.0	0.0	1,962.0	78.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,733.1	70.7	1,662.5	1,585.8	62.6	1,523.2	91.5

გ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი	პროცენტი
		სულ	სულ	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 919,5	3 726,8	75,76
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 851,2	3 717,0	76,62
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 851,2	3 717,0	76,62
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	20,9	9,9	47,29
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	47,5	0,0	0,00
704	ეკონომიკური საქმიანობა	14 287,1	12 244,5	85,70
7045	ტრანსპორტი	13 336,9	11 842,6	88,80
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	13 336,9	11 842,6	88,80
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	950,2	401,9	42,30

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 – 2026
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

705	გარემოს დაცვა	1 700,2	1 574,1	92,58
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0,0	0,0	#DIV/0!
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	474,5	427,1	90,01
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 225,7	1 147,0	93,58
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 465,3	2 727,8	78,72
7061	ბინათმშენებლობა	846,4	519,6	61,39
7063	წყალმომარაგება	518,2	271,3	52,35
7064	გარე განათება	638,3	584,9	91,64
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 462,5	1 352,0	92,45
707	ჯანმრთელობის დაცვა	102,7	93,0	90,54
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	102,7	93,0	90,54
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 486,2	1 962,0	78,92
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 076,7	782,8	72,70
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 290,4	1 098,7	85,14
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	44,1	40,6	91,97
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	75,0	40,0	53,33
709	განათლება	2 877,7	2 697,1	93,73
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 511,7	2 360,8	93,99
7092	ზოგადი განათლება	366,0	336,3	91,90
70923	საშუალო ზოგადი განათლება	366,0	336,3	91,90
710	სოციალური დაცვა	1 630,0	1 492,8	91,59
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	465,3	462,8	99,46
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	465,3	462,8	99,46
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	4,0	2,0	50,00
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	111,6	79,5	71,24
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 049,1	948,6	90,42
	სულ	31 468,6	26 518,2	84,27

დ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები

2022 წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან **6 586 078** ლარიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ვალდებულებებისთვის განისაზღვრა **3 200 639** ლარი, 2021 წლის გარდამავალი პროექტებისთვის, რომელთა ტენდერები

გამოცხადდა 2021 წელს - 69 499 ლარი, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით ჩამორიცხული თანხები (გასული წლები) – 235 309 ლარი და შესაბამისად თავისუფალი ნაშთი განისაზღვრა 3 080 631 ლარი (აქედან მიმდინარე ცვლილებით მიზნობრიობა განისაზღვრა 2 973 076 ლარი).

ე) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ კონტრასტის გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენს 232,1 ათ ლარს, 2023 წლისთვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) იგეგმება ვალის შემცირება 73,0 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩება ვალი 159,1 ათ. ლარი.

ვ) მუნიციპალიტეტის 2022 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის გადასახდელები ცალკეული პრიორიტეტების მიხედვით

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	31 505,1	10 671,8	20 833,3	26 546,0	8 516,2	18 029,8	84,3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 761,9	86,6	4 675,4	3 665,9	78,4	3 587,5	77,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საკმინდობის უზრუნველყოფა	4 714,4	86,6	4 627,9	3 665,9	78,4	3 587,5	77,8
01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 155,1	0,0	1 155,1	966,8	0,0	966,8	83,7
01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	3 398,7	0,0	3 398,7	2 572,9	0,0	2 572,9	75,7
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	139,7	86,6	53,2	116,4	78,4	38,0	83,3
01 01	კადრების მომზადება-გადამზადება	20,9	0,0	20,9	9,9	0,0	9,9	47,3

04								
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	47,5	0,0	47,5	0,0	0,0	0,0	0,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	47,5	0,0	47,5	0,0	0,0	0,0	0,0

1. ცხრა თვის განმავლობაში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 966,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2572,9 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 116,4 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 78,4 ათასი ლარი), კადრების მომზადება - გადამზადება - 9,9 ათასი ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის დასაწყისისათვის განისაზღვრა 140,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით. 2022 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის გეგმა განსაზღვრული იქნა 87,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 40,4 ათასი ლარი.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 15063,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 83,8 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17 979,5	10 170,8	7 808,7	15 063,9	8 039,0	7 024,9	83,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	13 336,9	9 223,4	4 113,5	11 842,6	7 559,9	4 282,7	88,8
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	12 743,0	8 822,6	3 920,4	11 434,4	7 344,6	4 089,7	89,7
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	592,9	400,8	192,1	407,4	215,3	192,1	68,7

02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	1,0	0,0	1,0	0,9	0,0	0,9	88,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	992,7	7,7	985,0	698,4	6,9	691,4	70,4
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	474,5	0,0	474,5	427,1	0,0	427,1	90,0
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	518,2	7,7	510,5	271,3	6,9	264,3	52,4
02 03	გარე განათება	638,3	0,0	638,3	584,9	0,0	584,9	91,6
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	534,0	0,0	534,0	509,8	0,0	509,8	95,5
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	104,3	0,0	104,3	75,0	0,0	75,0	72,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	424,2	148,2	276,0	126,3	106,3	19,9	29,8
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	348,1	0,0	348,1	328,7	0,0	328,7	94,4
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 095,5	86,4	1 009,1	992,4	86,4	906,0	90,6
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	74,0	0,0	74,0	64,7	0,0	64,7	87,4
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	181,4	86,4	95,0	171,9	86,4	85,5	94,7
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	840,0	0,0	840,0	755,9	0,0	755,9	90,0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	709,9	705,1	4,8	282,3	279,3	3,0	39,8
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	75,7	0,0	75,7	53,0	0,0	53,0	70,0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	164,6	0,0	164,6	66,6	0,0	66,6	40,5
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	143,6	0,0	143,6	88,7	0,000	88,723	61,8

02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გამდიერების მხარდაჭერა	50,0	0,0	50,0	0,0	0,000	0,000	0,0
----------	---	------	-----	------	-----	-------	-------	-----

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7517.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.3 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1050.9 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, უპატრონო ცხოველების ოპერირება 44.6 ათასი ლარი, საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ 377.8 ათასი ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერისთვის 98,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 666,7	0,0	1 666,7	1 571,3	0,0	1 571,3	94,3
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	50,0	0,0	50,0	44,6	0,0	44,6	89,3
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 102,5	0,0	1 102,5	1 050,9	0,0	1 050,9	95,3
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	405,3	0,0	405,3	377,8	0,0	377,8	93,2
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი	108,9	0,0	108,9	98,0	0,0	98,0	90,0

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2697,1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2877,7 ათასი ლარი, 93,7 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2360,8 ათასი ლარი, ხოლო საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 336,3 ათასი ლარი.

№	წ/წ	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი	პროცენტი
---	-----	--------------------------	--	--	----------

	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00 განათლება	2 877,7	343,8	2 533,9	2 697,1	336,3	2 360,8	93,7
04 01 საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 511,7	0,0	2 511,7	2 360,8	0,0	2 360,8	94,0
04 02 საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	366,0	343,8	22,2	336,3	336,3	0,0	91,9

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1962,0 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 2486,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,9 პროცენტია. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 782,8 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებას - 1138,7 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 40,0 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 40,6 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 486,2	0,0	2 486,2	1 962,0	0,0	78,9	
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 076,7	0,0	1 076,7	782,8	0,0	72,7	
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	25,5	0,0	25,5	13,2	0,0	51,9	
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 051,2	0,0	1 051,2	769,5	0,0	73,2	
05 01 02 01	წყალტუბო არენა	117,4	0,0	117,4	110,1	0,0	93,8	
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	490,0	0,0	490,0	472,3	0,0	96,4	

05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	443,7	0,0	443,7	187,1	0,0	187,1	42,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 365,4	0,0	1 365,4	1 138,7	0,0	1 138,7	83,4
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 222,3	0,0	1 222,3	1 081,5	0,0	1 081,5	88,5
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	497,9	0,0	497,9	425,5	0,0	425,5	85,5
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	609,5	0,0	609,5	571,8	0,0	571,8	93,8
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	114,9	0,0	114,9	84,3	0,0	84,3	73,3
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	68,1	0,0	68,1	17,113	0,0	17,1	25,1
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	75,0	0,0	75,0	40,0	0,0	40,0	53,3
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	44,1	0,0	44,1	40,6	0,0	40,6	92,0

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 91,5 %-ით (გეგმა 1733,1 ათასი, ფაქტი 1585,8 ათასი ლარი). მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დაფინანსებას მოხმარდა 93,0 ათასი ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსებას 203,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევგრძელ პირთა დახმარებას 2,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 79,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი 8,5 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება- 561,4 ათასი ლარით, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი 107,4 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება - 462,8 ათასი ლარით, სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება 66,7 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 733,1	70,7	1 662,5	1 585,8	62,6	1 523,2	91,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	102,7	64,7	38,0	93,0	58,1	34,9	90,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	102,7	64,7	38,0	93,0	58,1	34,9	90,5
06 02	სოციალური პროგრამები	1 630,5	6,0	1 624,5	1 491,3	4,5	1 486,8	91,5
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	232,3	0,0	232,3	203,0	0,0	203,0	87,4
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევანდელ პირთა დახმარება	4,0	0,0	4,0	2,0	0,0	2,0	50,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	111,6	0,0	111,6	79,5	0,0	79,5	71,2
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	14,0	6,0	8,0	8,5	4,5	4,0	60,7
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	574,2	0,0	574,2	561,4	0,0	561,4	97,8
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	117,0	0,0	117,0	107,4	0,0	107,4	91,8
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	465,3	0,0	465,3	462,8	0,0	462,8	99,5
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	107,1	0,0	107,1	66,7	0,0	66,7	62,3

თავი III. 2023-2026 წლების პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები/ღონისძიებები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

პანდემიასთან დაკავშირებით გაუარესდა როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2023-2026 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც

მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ინოვაცია: განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. ჩამოყალიბდა 2023 – 2026 წლების მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

➤ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	25 108,9	8 202,0	16 906,9	37 408,8	11 202,5	26 206,3	24 915,0	210,0	24 705,0	27 125,6	28 933,7	30 847,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13 471,6	7 633,5	5 838,1	20 518,0	10 374,6	10 143,4	7 124,9	0,0	7 124,9	7 150,1	6 875,8	7 133,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 381,9	20,9	1 361,1	2 055,4	0,0	2 055,4	1 788,3	0,0	1 788,3	1 970,0	2 280,0	2 580,0
04 00	განათლება	2 622,2	384,0	2 238,2	3 882,9	387,9	3 494,9	4 330,4	0,0	4 330,4	4 250,0	4 500,0	4 800,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 377,4	0,0	2 377,4	3 194,4	250,0	2 944,4	3 232,8	0,0	3 232,8	3 936,0	4 155,0	4 573,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 958,3	74,7	1 883,6	2 071,6	88,0	1 983,6	2 308,0	79,8	2 228,2	2 417,0	2 474,0	2 505,0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3 297,5	88,9	3 208,5	5 686,4	102,0	5 584,4	6 130,6	130,2	6 000,4	7 038,2	8 278,5	8 878,9

02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში

გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათ. ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13 471,6	7 633,5	5 838,1	20 518,0	10 374,6	10 143,4	7 124,9	0,0	7 124,9	7 150,1	6 875,8	7 133,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9 263,4	6 359,1	2 904,3	15 234,7	9 364,4	5 870,3	2 764,0	0,0	2 764,0	2 350,1	1 859,6	1 883,6
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	9 036,6	6 359,1	2 677,6	14 636,7	8 983,4	5 653,4	2 314,0	0,0	2 314,0	2 000,0	1 500,0	1 364,4
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	143,7	0,0	143,7	596,9	381,0	215,9	450,0	0,0	450,0	350,1	359,6	519,2
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	83,0	0,0	83,0	1,0	0,0	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 216,6	520,6	696,1	1 013,3	10,8	1 002,6	1 300,0	0,0	1 300,0	1 300,0	1 100,0	1 200,0
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	339,1	0,0	339,1	474,5	3,1	471,4	300,0	0,0	300,0	300,0	100,0	200,0
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	877,5	520,6	356,9	538,8	7,7	531,1	1 000,0	0,0	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0
02 03	გარე განათება	717,7	0,0	717,7	804,3	0,0	804,3	850,0	0,0	850,0	850,0	850,0	800,0
02 03	გარე განათების ქსელის	647,4	0,0	647,4	700,0	0,0	700,0	700,0	0,0	700,0	700,0	700,0	700,0

01	ექსპლოატაცია												
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	70,3	0,0	70,3	104,3	0,0	104,3	150,0	0,0	150,0	150,0	150,0	100,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	12,7	9,1	3,6	424,2	203,6	220,6	155,0	0,0	155,0	0,0	0,0	0,0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	339,7	0,0	339,7	391,0	0,0	391,0	250,0	0,0	250,0	300,0	300,0	300,0
02 06	კეთილმოწყობის ლონისძიებები	1 060,3	0,0	1 060,3	1 348,1	87,7	1 260,5	1 455,9	0,0	1 455,9	1 800,0	2 116,2	2 500,0
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	74,0	0,0	74,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია	250,7	0,0	250,7	181,6	87,7	93,9	250,0	0,0	250,0	300,0	316,2	300,0
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ლონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	809,6	0,0	809,6	1 092,6	0,0	1 092,6	1 205,9	0,0	1 205,9	1 500,0	1 800,0	2 200,0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	747,0	744,7	2,3	709,9	708,1	1,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	43,8	0,0	43,8	95,7	0,0	95,7	100,0	0,0	100,0	150,0	150,0	100,0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	70,4	0,0	70,4	202,1	0,0	202,1	100,0	0,0	100,0	150,0	150,0	100,0
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	0,000	0,000	0,000	244,8	0,0	244,8	100,0	0,0	100,0	150,0	200,0	150,0
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	0,000	0,000	0,000	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0	100,0	150,0	100,0

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ასევე საჭიროების შემთხვევაში თოვლის საფარისგან, მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთება, ორმოული შეკეთება, შუქნიშნების შეკეთება და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით. პროგრამის მიზანია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების გამარტივება, გამტარიანობის ზრდა.

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით, კერძოდ:

- ქალაქ წყალტუბოში შანიძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.
- ქალაქ წყალტუბოში ყაზბეგის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.
- ქალაქ წყალტუბოში დედაენის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.
- ქალაქ წყალტუბოში ბარათაშვილის და ჯავახიშვილის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. ჟონეთში გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. რიონში გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. ყუმისთავში გზის რეაბილიტაცია.
- წყალტუბოში სოფ. ზედა ჩუნეთის გზის რეაბილიტაცია.

გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2023 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა

განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.

წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

სანიაღვრე ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემატურ ნაწილს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც მიმდინარე საექსპლოატაციო, ასევე, სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოები. კერძოდ:

ქალაქ წყალტუბოში სარაჯიშვილის, კოსატავას ქუჩაზე, გამსახურდიას ქუჩის გაგრძელებაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე არსებული არხის სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსება.

სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 02 02)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. სასმელი წყლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. კერძოდ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელებში ცხუნკურში, ყუმისთავში, სოფელ წყალტუბოში, ხომულში და პირველ წყალტუბოში წყლის სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;
- გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.

პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებით უსაფრთხო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისათვის.

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერჯის ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში სათაფლიის გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში ქსელის რეაბილიტაცია და სოფ. მეორე უბნისა და ჩუნეშის დამაკავშირებელ გზაზე გარე განათების მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღისა და ეზოს კეთილმოწყობა.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება;

პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით;

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. გუმათში და სოფ.ქვედა მესხეთში ბროწეულას დასახლებაში სპორტული ტრენაჟორის მოწყობა; სოფ. ქვიტირში, გეგუთში ვარციხეჰესის დასახლებაში და სოფ. ცხუნკურში სკვერის მოწყობა.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება (პროგრამული კოდი 02 06 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და

მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია.

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 08)

პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09)

სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შექმნა. პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები. ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 02 11)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ბიზნეს იდეების კონკურსში მონაწილეობას იღებს წყალტუბოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული: 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც პროექტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება; ინდივიდუალური მეწარმე; მეწარმე იურიდიული პირი. ბიზნეს იდეის წარდგენა ასევე შეუძლია ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან/და მეწარმე იურიდიულ პირს, რომელიც არ არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, თუმცა, დაფინანსების

შემთხვევაში, მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი სრულად განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროგრამის ბენეფიციარად (შემდგომში - ბენეფიციარი) ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გადალახავს პროგრამის ბიზნეს იდეების გადარჩევის ეტაპს ან/და გამარჯვებული პროექტის ავტორია.

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 381,9	20,9	1 361,1	2 055,4	0,0	2 055,4	1 788,3	0,0	1 788,3	1 970,0	2 280,0	2 580,0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	53,304	0,000	53,304	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0	70,0	80,0	80,0
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 033,3	0,0	1 033,3	1 491,2	0,0	1 491,2	1 658,3	0,0	1 658,3	1 900,0	2 200,0	2 500,0
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	213,2	20,9	192,4	405,3	0,0	405,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი	82,1	0,0	82,1	108,9	0,0	108,9	80,0	0,0	80,0	0,0	0,0	0,0
----------	-----------------------------	------	-----	------	-------	-----	-------	------	-----	------	-----	-----	-----

უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა უპატრონო ცხოველებისგან.

დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03)

მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.

ნაგავშემკრები კონტეინერი (პროგრამული კოდი 03 04)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა.

04 00 განათლება

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-

პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების გაერთიანება პროგრამის განხორციელება.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
04 00	განათლება	2 622,2	384,0	2 238,2	3 882,9	387,9	3 494,9	4 330,4	0,0	4 330,4	4 250,0	4 500,0	4 800,0
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 238,2	0,0	2 238,2	3 472,7	0,0	3 472,7	4 330,4	0,0	4 330,4	4 250,0	4 500,0	4 800,0
04 02	საჯარო სკოლების მოწვევითა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	384,0	384,0	0,0	410,1	387,9	22,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი 1500 აღსაზრდელით.

სულ საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 404 თანამშრომელი (ქალი - 348, კაცი - 56), მათ შორის 122 აღმზრდელი და 61 თანაშემწე.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა,

ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;

05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის ეს პრიორიტეტი ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან იგი მოიცავს უამრავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს. ამასთანავე უაღრესად ყურადსაღებია მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდების მიგრაციის თემა, შიდა თუ საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა. ყოველივე ამისთვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ინოვაციების ხელშეწყობას და განათლების პარალელურად მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისთვის კულტურისა და სპორტის განვითარებას. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, ხელოვნების და კულტურის დარგის გამოჩენილი ახალგაზრდების წახალისებას. ყველა მოზარდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 377,4	0,0	2 377,4	3 194,4	250,0	2 944,4	3 232,8	0,0	3 232,8	3 936,0	4 155,0	4 573,0

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 095,5	0,0	1 095,5	1 373,7	250,0	1 123,7	1 264,9	0,0	1 264,9	1 255,0	1 275,0	1 455,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	36,3	0,0	36,3	31,0	0,0	31,0	30,0	0,0	30,0	35,0	35,0	35,0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 059,2	0,0	1 059,2	1 342,7	250,0	1 092,7	1 234,9	0,0	1 234,9	1 220,0	1 240,0	1 420,0
05 01 02 01	წყალტუბო არენა	139,6	0,0	139,6	146,0	0,0	146,0	164,9	0,0	164,9	180,0	190,0	220,0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	538,1	0,0	538,1	661,0	0,0	661,0	920,0	0,0	920,0	790,0	850,0	950,0
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	381,5	0,0	381,5	535,7	250,0	285,7	150,0	0,0	150,0	250,0	200,0	250,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 277,9	0,0	1 277,9	1 776,6	0,0	1 776,6	1 947,9	0,0	1 947,9	2 661,0	2 865,0	3 098,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 132,8	0,0	1 132,8	1 546,5	0,0	1 546,5	1 717,9	0,0	1 717,9	2 411,0	2 615,0	2 848,0
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	453,7	0,0	453,7	620,0	0,0	620,0	689,5	0,0	689,5	888,0	960,0	1 060,0
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	598,9	0,0	598,9	795,0	0,0	795,0	878,4	0,0	878,4	1 100,0	1 200,0	1 300,0
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	80,2	0,0	80,2	131,5	0,0	131,5	150,0	0,0	150,0	161,0	180,0	200,0
05	კულტურული	55,1	0,0	55,1	130,1	0,0	130,1	130,0	0,0	130,0	150,0	150,0	150,0

02 02	ღონისძიებები												
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	90,0	0,0	90,0	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0	100,0	100,0	100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	4,0	0,0	4,0	44,1	0,0	44,1	20,0	0,0	20,0	20,0	15,0	20,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული წყალტუბოელი სპორტსმენების წახალისება. მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია. პროგრამის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; წარმატებული სპორტსმენების ფულადი დახმარება; სპორტსმენების

სხვადასხვა სპორტულ ტურნირების მონაწილეობა; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდვის მომსახურება; სპორტული ღონისძიებისთვის სპორტული ინვენტარის შესყიდვა; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სპორტული აქტივობები; მკლავჭიდი; ნოდარ კობხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის წყლის შესყიდვა; სპორტული აქტივობები ანიმატორების მონაწილეობით; გეზრბენი; მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი კერძო და საჯარო დაწესებულებებს შორის; სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; მკლავჭიდი; კედირ ჯიმშელიეშვილის და დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ჭადრაკის ფესტივალი; ველოტური; ფრენბურთის ტურნირი კერძო და საჯარო დაწესებულებებს შორის (გოგონები, ვაჟები); ვახტანგ კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; ზურაბ ზადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოღვაწე წყალტუბოელების გახსენების საღამო; ბერძნულ- რომაული სტილით მოჭიდავე იაკობ ქაჯაიას ვარსკვლავის გახსნა; ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო დაწესებულებებს შორის; გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი.

სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარისაციისათვის. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-სამეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ადგილობრივ სპორტსმენტთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტმენტთა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე. სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოასპარეზე 18 წლამდე ასაკის პერსპექტიული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში და

საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.

ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის (პარასპორტის) განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ეროვნულ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, მუნიციპალიტეტის ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენტა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენტა ეკიპირებით უზრუნველყოფა და ა.შ.

პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მ. შ. ქალთა შორის სპორტული სახეობების პოპულარიზაციას და ქალთა გუნდების ჩამოყალიბებას მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია. ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ხელი შეუწყოს მაღალი მიღწევების სპორტში მეტი მოზარდის ჩართვას. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენას ქვეყნის მასშტაბით.

წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. სულ წყალტუბო არენაში დასაქმებულია 17 თანამშრომელი (ქალი - 4, კაცი - 13).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში. ღონისძიების ფარგლებში ხდება ხელშეწყობა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩაერთოს სპორტში და სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. სულ სპორტული კლუბების გაერთიანებაში დასაქმებულია 53 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 41). სპორტულ სექციებში სულ რეგისტრირებულია 530 აღსაზრდელი (გოგო - 78, ბიჭი - 452).

ღონისძიებების მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახის პოპულარიზაცია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის ქ. და სოფ. ფარცხანაყანევში მინი სპორტული მოედნის მოწყობა. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. სპორტული ობიექტებიგულისხმობს სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა და სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა, მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე.

კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით. მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები.

კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდობისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-

ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. სულ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში დასაქმებულია 76 თანამშრომელი (ქალი - 60, კაცი - 16).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 30 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა. სულ კულტურის ცენტრში დასაქმებულია 140 თანამშრომელი (ქალი - 86, კაცი - 54).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშევრა. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. სულ ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრში დასაქმებულია 7 თანამშრომელი (ქალი - 7).

კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, საშობაო ღონისძიება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება, ტრანსპორტირება, აგრო ტურისტული ფესტივალი, სასწავლო წლის დასრულების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, მოწვევა, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შემეცნებითი და კულტურული პროგრამების დაფინანსება (ქართველი დიასპორა); აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო საერთაშორისო დღე; ბრენდირებული საჩუქრების შესყიდვა; კლასიკური მუსიკის ფესტივალი; 9 აპრილი, სიყვარულის დღე, ქართული სამოსის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 2 მაისობა (გვირილობა), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სახალხო დღესასწაული „ოტიაობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშრების, წიგნების, დიპლომების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები:

- ეტალონი;
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები;
- რა? სად? როდის?
- შშმ პირებისთვის საჩუქარი;
- ევროკავშირის დღეები.
- სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ბანკებში ახალგაზრდების მონაწილეობა;
- ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება
- ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შედევათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 958,3	74,7	1 883,6	2 071,6	88,0	1 983,6	2 308,0	79,8	2 228,2	2 417,0	2 474,0	2 505,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	119,1	71,7	47,4	135,3	82,0	53,3	152,0	72,8	79,2	175,0	195,0	200,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	119,1	71,7	47,4	135,3	82,0	53,3	152,0	72,8	79,2	175,0	195,0	200,0
06 02	სოციალური პროგრამები	1 839,2	3,0	1 836,2	1 929,3	6,0	1 923,3	2 156,0	7,0	2 149,0	2 242,0	2 279,0	2 305,0
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	242,2	0,0	242,2	296,0	0,0	296,0	385,0	0,0	385,0	350,0	370,0	390,0
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	1,0	0,0	1,0	4,0	0,0	4,0	3,0	0,0	3,0	3,0	3,0	3,0

06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	105,6	0,0	105,6	111,6	0,0	111,6	115,0	0,0	115,0	130,0	130,0	130,0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	11,9	3,0	8,9	17,0	6,0	11,0	17,0	7,0	10,0	17,0	14,0	15,0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	708,8	0,0	708,8	604,2	0,0	604,2	680,0	0,0	680,0	700,0	710,0	700,0
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	120,9	0,0	120,9	148,6	0,0	148,6	184,0	0,0	184,0	190,0	200,0	210,0
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	596,8	0,0	596,8	605,3	0,0	605,3	625,0	0,0	625,0	700,0	700,0	700,0
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	52,0	0,0	52,0	142,6	0,0	142,6	140,0	0,0	140,0	145,0	145,0	150,0
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	0,000	0,000	0,000	7,0	0,0	7,0	7,0	0,0	7,0	7,0	7,0	7,0

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა; ცხოვრების ჯანსაღი წესის გატარება; სამედიცინო სტატისტიკის მონიტორინგი; იმუნური პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ცივი ჯაჭვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ყოველთვიური მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რეგიონებში; COVID -19-ის ტესტირება დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით; C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებიტ შემთხვევაში მკურნალობა.

სულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 13 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 1).

ქვეპროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2021 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი (მათ შორის 123 ქალი და 67 კაცი). ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინმიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების თანადგომა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2022 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი (მათ შორის 123 ქალი და 67 კაცი).

სულ სათნოების სახლში დასაქმებულია 10 თანამშრომელი (ქალი - 6, კაცი - 4).

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინ მიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას – 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.

ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, ქვეპუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზეც, რომელთა შვილები დაიბადა 2022 წლის დეკემბერში და არა აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.

მიზანი: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 250 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით.

ასევე გათვალისწინებულია დახმარება ახალი კორონავირუსის ინფექციით გარდაცვლილ პირთა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტონგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში განსაზღვრულია 0-დან 65 000-ის ჩათვლით, თითოეულზე 400 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

ა) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება –1 000 ლარი;

ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;

გ) დედ–მამით ობოლი ბავშვის დახმარება – კვარტალში ერთხელ 400 ლარი;

დ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;

ე) ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.

ვ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარი;

ზ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება –2000 ლარი;

თ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერემბრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;

ი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპესაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;

კ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.

ლ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;

მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო დარჩა უსახლკაროდ და არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა

ნ) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა

ო) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.

პ) 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.

ჟ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.

რ) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 50 ლარის ღირებულებისა.

ს) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 1500 ლარი

ტ)) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 1500 ლარი.

უ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.

ფ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.

ქ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა

ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწასებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ყ) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.

შ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი

ჩ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

ც) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სულ ინკლუზიური ცენტრში დასაქმებულია 16 თანამშრომელი (ქალი - 11, კაცი - 5). ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი-ში არსებული სერვისებით 2022 წლის მდგომარეობით 16 ბენეფიციარი (მათ შორის : 6 გოგო და 10 ბიჭი) სარგებლობს.

მიზანია: შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარისა.

ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების, სამედიცინო კვლევების, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.

ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანეში, ამაღლების უბანში N60 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში #5,#7,#8,#9,#10 - ჩეჩელაშვილების უბანში, ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე,22-ე და 26-ე ქუჩებზე, სოფ.ტყაჩირში აშვეთიების უბანში, სოფ. გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, სოფ. საყულიაში, სოფ. უკანეთში, სოფ. ნოლა-ქუთაისის დამაკავშირებელი გზის, რიონში მამრიკიშვილების უბანში (ტაძართან მისასვლელი) გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

ქალაქ წყალტუბოში "ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა.

ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყუმისთავში, "გაზხარულ

ტბასთან" მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით და თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეხინდრისთავში (ლეხინდრისთავი-ლეყერეთი) გზის მე-2 ეტაპის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში გუბას, კეპულაძეების, ჩხობაძეების და მოძუაშვილების უბანში, სოფელ გუმბრაში კლუბის და იობიძეების უბანში, ქალაქ წყალტუბოში გამსახურდიას და ქუთაისის ქუჩის გაგრძელებაზე და სოფელ გვიშტიბში მაცაბერიძეების და მე-10 ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

ქ.წყალტუბოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

ქ.წყალტუბოში 9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

სარკინიგზო გადასასვლელის მოწყობა.

აგრეთვე სოფლებში: ცხუნკური, წყალტუბო, ქვილიშორი, ხომული, ქ. წყალტუბოში ცენტრალური საავტომობილო გზის, სოფ. გვიშტიბში, მეჩხერში, სორმონი, რიონი, ჭოლევი, ოფურჩხეთი, ნამოხვანი, დერჩი, მალლაკი, დღნორისა, ჭაშლეთსა და საჩხეურაში მიმდინარეობდა გზების სტიქიის ნარჩენებისგან გაწმენდის სამუშაოები.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

მიმდინარე ეტაპზე განხორციელდა სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის ქსელის მოწყობა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გუმბრაში, გუმბრინის დასახლებაში #12 და #13 ბინების სასმელი წყლის ქსელის და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება.

მიმდინარე პერიოდისთვის განხორციელდა სოფ. ტყაჩირსა და ახალ საყულიაში გარე განათების ქსელის მოწყობა. ასევე მოხდა სოფელ ყუმისთავსა და გვიშტიბში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, გაფორმდა ხელშეკრულება.

შუალედური შედეგი:

გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მესამე საჯარო სკოლის სახურავის შეკეთება, აგრეთვე ქ. წყალტუბოში სამხატვრო სკოლისა რეაბილიტაცია, ქ. წყალტუბოში მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია .

ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია. კერძოდ:

ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის #8 საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებითი სამუშაოები, ქ. წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე #16 ქუჩის მე-3 სადარბაზოს, შანიძის ქ. #9 და #4 ბინების , ტაბიძის ქუჩა #3ა და #13 ბინების პირველი სადარბაზოს სახურავის, დედანის ქ. #34 ბინის მე-2 სადარბაზოს სახურავის შეკეთების და ასევე ჩოლოყაშვილის ქ. #1 ბინის მეორე სადარბაზოს სახურავის შეკეთების და ეზოს მოწყობის სამუშაოები. ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩის №22 საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) N3 საცხოვრებელი ბინის სახურავის მოწყობის სამუშაოები. ქალაქ წყალტუბოში, კოსტავას ქ. №2 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის 1-ლი, მე-2, მე-5, მე-6 სადარბაზოების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

შუალედური შედეგი:

უბნების კეთილმოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია,
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება;

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამით ხორციელდება სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა; 2022 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა ცივი ტბის მიმდებარედ არსებული თანხმლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობის სამუშაოები; ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქუჩაზე

განხორციელდა საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის და ხეების დარგვის მათი მვლა გადაბეღვის სამუშაოები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება- ქვეპროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“ ახორციელებს, შემდეგ ღონისძიებებს: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; გარე განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით აღდგენითი სამუშაოები შესრულდა შემდეგ სოფლებში: სოფ. ოფურჩხეთი, სოფ. მალლაკი, სოფ. ფარცხანაყანევის და ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიებზე. შეცვლილია დაზიანებული ნათურები შემდეგ ლოკაციებზე: სოფ. ქვიტირი, მესხეთი, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე წყალტუბოს ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოპიტნარის დასახლებაში, ზედა მესხეთის, გეგუთის, ქვიტირის, ფარცხანაყანევის, ქვილიშორის, ბანოჯა-ქუთაისის დამაკავშირებელ გზაზე მოიჭრა და გადაიბელა დაზიანებული ხეები. განხორციელდა ხე-მცენარეების დარგვა, შეწამვლა ფესვთა სისტემის გამოკვებისთვის, გასხვლა და მოვლა-პატრონობა. აგრეთვე სპეც. ტექნიკის მიერ სისტემატიურად ხდება მწვანე საფარის მოვლა.

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)

სოფლის მხარდაჭერი სპროგრამის ფარგლებში 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 704 000 ლარი.

მიმდინარე ეტაპზე ამ მიმართულებით განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში კრებების ჩატარება და მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით შეირჩა 59 პროექტი, რის შესაბამისადაც გაფორმდა ხელსეკრულებები მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის, სასმელი წყლის პლასმასის მიღების და მასალების შეძენა, შენობების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღისთვის სათამაშოების შესყიდვა, მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, სკვერების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა.

თ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

შუალედური შედეგი:

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.

ი) საშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

შუალედური შედეგი:

შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

კ) მოქალაქეთა ჩართულობა (02 10)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები.

ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილია 36 ხის ძელ-სკამი წარწერით „წყალტუბო“ და ხის 50 ცალი სანაგვე ურნა. მიმდინარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის 222 ცალი ხის სანაგვე ურნის შესყიდვის პროცედურები. შესყიდულია საქართველოს რუკის კონტურის ფორმის ქუჩების დასახელებების და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით).

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7517.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.3 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1050.9 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, უპატრონო ცხოველების ოპერირება 44.6 ათასი ლარი, საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ 377.8 ათასი ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერისთვის 98,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 666,7	0,0	1 666,7	1 571,3	0,0	94,3	
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	50,0	0,0	50,0	44,6	0,0	89,3	
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 102,5	0,0	1 102,5	1 050,9	0,0	95,3	
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	405,3	0,0	405,3	377,8	0,0	93,2	

03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი	108,9	0,0	108,9	98,0	0,0	98,0	90,0
----------	-----------------------------	-------	-----	-------	------	-----	------	------

ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება; ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორების შემცირება.

შუალედური შედეგი

იზოლირებული და ოპერირებული ცხოველების რაოდენობა.

ბ) დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03)

დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა- რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“ ყოველდღიურად ახდენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას; 5 საბუნკერე და 2 თვითმცლელი სპეცავტომანქანით ეწევა მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას. ყოველდღიურად ხდება დაახლოებით 25 ტონამდე საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. 2022 წლის პირველ კლვარტალში პარკის მიმდებარედ და ქალაქის ტერიტორიაზე შეიცვალა 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი. საკონცერტო დარბაზ ივერიის მიმდებარედ შეიცვალა ნაგვის პატარა ურნები.

შუალედური შედეგი

გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

გ) საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (პროგრამული კოდი 03 04)

პროექტის ფარგლებში ხორციელდება მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით. პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანმხლები ღონისძიებებს.

შუალედური შედეგი:

გაუმჯობესებული მწვანე გარემო.

დ) ნაგავშემკრები კონტეინერი (პროგრამული კოდი 03 04)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა.

შუალედური შედეგი:

მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2697,1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2877,7 ათასი ლარი, 93,7 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2360,8 ათასი ლარი, ხოლო საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 336,3 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	2 877,7	343,8	2 533,9	2 697,1	336,3	2 360,8	93,7
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 511,7	0,0	2 511,7	2 360,8	0,0	2 360,8	94,0
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	366,0	343,8	22,2	336,3	336,3	0,0	91,9

ა) საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 24 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებაში რეგისტრირებულია 1700 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამკერადი კვება და 1 წახემსება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 2,85 ლარი შეადგინა.

დაინერგა სასკოლო მზაობის პროგრამა, მიმდინარეობს #23 საბავშვო ბაღში სპორტული მოედნის მოწყობა, შექმნილია საბავშვო ბაღებისთვის მცირე ინვენტარი და გაზის გამათბობელი.

შუალედური შედეგი

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიდინარე პერიოდში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში შეუფერხებლად ხორციელდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერიას და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად გაწეულია 233,5 ათასი ლარის ხარჯი. ასევე სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მხრივ გაწეულია 102,8 ათ. ლარი.

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1962,0 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 2486,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,9 პროცენტია. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 782,8 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებას - 1138,7 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 40,0 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 40,6 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 486,2	0,0	2 486,2	1 962,0	0,0	1 962,0	78,9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 076,7	0,0	1 076,7	782,8	0,0	782,8	72,7
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	25,5	0,0	25,5	13,237	0,0	13,2	51,9
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 051,2	0,0	1 051,2	769,5	0,0	769,5	73,2
05 01 02 01	წყალტუბო არენა	117,4	0,0	117,4	110,1	0,0	110,1	93,8
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	490,0	0,0	490,0	472,3	0,0	472,3	96,4
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	443,7	0,0	443,7	187,1	0,0	187,1	42,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 365,4	0,0	1 365,4	1 138,7	0,0	1 138,7	83,4
05	კულტურის სფეროს	1 138,7	0,0	1 138,7	1 081,5	0,0	1 081,5	88,5

02 01	დაწესებულებების ხელშეწყობა	222,3			081,5			
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	497,9	0,0	497,9	425,5	0,0	425,5	85,5
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	609,5	0,0	609,5	571,8	0,0	571,8	93,8
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	114,9	0,0	114,9	84,3	0,0	84,3	73,3
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	68,1	0,0	68,1	17,113	0,0	17,1	25,1
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	75,0	0,0	75,0	40,0	0,0	40,0	53,3
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	44,1	0,0	44,1	40,6	0,0	40,6	92,0

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.

ა.ა) სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; 21 მაისს წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო „ველოტური“, რომლის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ტურნირში მონაწილეობას იღებდა 14-მდე ქვეყანის 60 მონაწილე. 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა სპორტული აქტივობები: მარათონის ტურნირი - წყალტუბოელი სპორტსმენების მონაწილეობით. მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. 31 მაისს ჩატარდა გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მძლეოსნობის ოთხ სახეობაში: 60-მ -ზე რბენი, ბირთვის ტყორცნა, ამანათრბენი და სიგრძეზე ხტომა. მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების 2008, 2009, 2010 წწ. დაბადებულ გოგონები და ვაჟები. დაჯილდოვდა, როგორც ინდივიდუალური ასევე გუნდურ საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები. 14-15 ივნისს ჩატარდა წყალტუბოში მოღვაწე წარმატებული სპორტსმენის სულიკო ნიქაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოყვარულო მინი ფეხბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის ფეხბურთის გუნდები. საპრიზო ადგილზე გასული გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო.

16-17 ივნისს ჩატარდა შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, სხვადასხვა წონით კატეგორიებში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 8 უნიციპალიტეტის 150 -მდე სპორტსმენი. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. წყალტუბოს სამოყვარულო ფეხბურთის ორი გუნდი მონაწილეობას ღებულობს მასტერ ლიგის ჩემპიონატში. 30 სექტემბერი სასკოლო სპორტული ოლიმპიადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა სახეობის სპორტში.

შუალედური შედეგი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ა.ბ)სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღრმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.

ა(ა)იპ წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.

წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი სამგურალის 2-ის მონაწილეობს ლიგა 4-ის ჩემპიონატში განახლდა ასაკობრივი ლიგის გუნდების 19,17,15,13,10 და 8 წლამდელთა ვარჯიშები და ჩემპიონატის თამაშები. ცენტრალური სტადიონის ფუნქციონირებისთვის მოხდა სარეკლამო კონსტრუქციების შეკეთება-გამაგრება, გაიწმინდა და მომზადდა მინდვრის საფარის აღდგენითი სამუშაოები. აგრეთვე მოხდა მინი სტადიონის გაფართოება და ჩატარდა საფარის მოსაწესრიგებელი სამუშაოები.

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 420 სპორტსმენი.

2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში სპორტის სხვადასხვა მიმართულებაში ჩატარდა შეჯიბრებები და მოპოვებული იქნა საპრიზო ადგილები მათ შორის:

ბ/რ ჭიდაობა -1 მესამე ადგილი, ძიუდო 2 მესამე ადგილი; პირველობა ქვეჭიდაობა 2 მეამე ადგილი; ახალგაზრდული ჩემპიონატი მძლეოსნობაში 1 მეორე ადგილი.

ხელბურთში ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატის ორი შეხვედრა , რომელიც დასრულდა მოგებით;

საქართველოს რეგიონული ლიგა რაგბში 5 შეხვედრიდან 4 დასრულდა სარაგბო კლუბ დინოზავრის სასარგებლოდ.

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მოწყობა: სოფელ მუხიანში ქაჭარის უბანში და სოფელ საყულიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია; ასევე სოფ. საყულიაში (სვანების დასახლებაში) მინი სპორტული მოედნის მოწყობა.

ბ) კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

ბ.ა) წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდების ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმარული განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას: მოსწავლე ახალგაზრობის სახლი (17,5 წრე-382 მოსწავლე) , სამუსიკო სკოლა (139 მოსწავლე) და სამხატვრო სკოლა (117 მოსწავლე) .

2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში მოსწავლე ახალგაზრობის სახლის მიერ ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: საახალწლო მიუზიკლი „დროის ქვეყანა“; საშობაო კონცერტი; ბორჯომ-ბაკურიანში საბავშვო სიმღერების ფესტივალი; ეკოლოგიის წრის საგანმანათლებლო ონლაინ პრეზენტაცია; დედის და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილი ღია საწრეო მეცადინეობა. სამხატვრო სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა;

ბ.ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და

მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ასევე მის დაქვემდებარებაში ფოლკლორული ანსამბლი „ნადური“, სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი.

2022 წლის პირველ კვარტალში განმავლობაში ხორციელდებოდა სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ადგილზე მისვლით თეატრალური და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: სოფ. მესხეთი, სოფ. მალაკვი, გვიშტიბი და სოფ. ცხუნკური. სოფ. მალაკვის კულტურის სახლში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; განხორციელდა სოფ. წყალტუბოს და მეორე უბნის ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია. ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში სარემონტო სამუშაოები.

ბ.გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის მიერ განხორციელდა ადგილობრივ გიდებთან გადამზადება; უმასპინძლა ამერიკელ ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს; მოხდა ისრაელი-ლისაბონის გამოფენაზე წყალტუბოს წარდგენა. სისტემატიურად მიმდინარეობს წყალტუბოს როგორც ტურისტული ქალაქის პოპულარიზაცია.

ბ.დ) კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02) ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო საახალწლო ღონისძიებები: საახალწლოდ გაფორმებულ ჯიხურებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით გაიმართა საშობაო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები; განთავსდა ფოტო გადასაღები სტენდები; საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობდნენ ანიმატორები. თოვლის ბაბუას საჩუქრებმა პატარები განსაკუთრებით გაახარა. მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ფოლკლორული ანსამბლი „ნადური“ და საბავშვო საესტრადო ჯგუფები „ცისარტყელა“ და „ოცნება“. ღონისძიება საზეიმო კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა. 3 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პირველმა პირებმა დედის დღე მიულოცა, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა გმირების დედებს. 8 მარტს მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების“ თანამშრომელ ქალბატონებთან. მათ თვითმმართველობის პირველმა პირებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. 21-22 მარტს მსოფლიო წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურებმა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილებამ, ერთობლივი ორ დღიანი გაცვლითი ღონისძიებების ორგანიზება უზრუნველყო. 21 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. წყალტუბოელმა ახალგაზრდებმა მოამზადეს სხვადასხვა პრეზენტაციები თემაზე: „წყალტუბოს ისტორია“ „კარსტული მღვიმეები“ და „უნიკალური, სამკურნალო თვისებების თერმული წყალი“. ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდები კურორტ საირმეს ეწვივნენ. დაათვალიერეს სპა ცენტრი, საკურორტო პოლიკლინიკა

და 4 ტიპის ბიუჯეტის წყალი დააგემოვნეს. ასევე მოინახულეს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი. 22 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. ვიზიტის ფარგლებში მათ „პრომეთე“ და „თეთრა“ მღვიმეები მოინახულეს, ასევე დაათვალიერეს წყალტუბოს წყარო N6 და გიორგი ახლვედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. წყალტუბოს ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების შემდეგ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში გაიმართა ოფიციალური შეხვედრა და ახალგაზრდების დაჯილდოვება. 14 მაისს წყალტუბოს ცენტრალურ პარკში ამფითეატრთან დისნეის ახალი სათავგადასავლო ანიმაციური ფილმის „ენკანტო“-ს ჩვენება გაიმართა, ღონისძიებას სხვადასხვა ასაკის ბავშვები ესწრებოდნენ. 18 მაისს წყალტუბოში აღინიშნა „ეროვნული სამოსის დღე.“ მოეწყო მსვლელობა, რომელშიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლები, ა(ა)იპ-ები და წყალტუბოს ადგილობრივი მოსახლეობა. 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გასართობი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ პარკში, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებსა და ასფალტზე ცარცით ხატვით კონკურსში პატარები ხალისით ჩაერთნენ. 1 ივნისს, ქუთაისის ოპერის თეატრში საქართველოს ფოლკლორის 2022-ის შესარჩევი ტური ჩატარდება, სადაც მონაწილეობას ღებულობდა წყალტუბოს ხალხური სიმღერის ანსამბლი „ნადური“, ასევე ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების ნამუშევრები. 10 ივნისს წყალტუბოს ცენტრალურ პარკში ს/დ „ივერიის“ მიმდებარედ საბავშვო ანიმაციური ფილმის „მონა“-ს ჩვენება გაიმართა, სადაც მოწვეული იყო სხვადასხვა ასაკის ბავშვები. 22 ივლისს გაიმართა კლასიკური კინო მუსიკის სადამო ზაზა კილასონიას მონაწილეობით. 8 აგვისტო 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-თეატრალიზებული ღონისძიება. 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება.

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას. ამ ეტაპისათვის ფინანსური მხარდაჭერა გაეწა ქ. წყალტუბო 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიას სამშენებლო სამუშაოებისათვის; ქ. წყალტუბო ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ეკლესიას სამშენებლო სამუშაოებისათვის; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერძინალში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს სამშენებლო სამუშაოებისათვის; ქ. წყალტუბოში წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო გიმნაზიას.

ბ.ვ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნა სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა. ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. პროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება. ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის

საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა.

მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 1 აპრილს წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. ღონისძიებაში ჩართული იყო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლები. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. 5 ივნისს ც. პარკში ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გლიტერ ფესტივალის „Glitter fest“. ახალგაზრდულ ფესტივალს უძღვებოდა მსახიობი, მომღერალი და წამყვანი, ლადო ჯანელიძე. კონცერტი გახსნა როკ-ჯგუფმა „მიქსტურამ“, ასევე მონაწილეობდნენ ადგილობრივი ჰიპ-ჰოპ -ის მოცეკვავეთა ჯგუფები, რეპერი ზუკა ბადირეიშვილი იგივე „Big Z“, ფესტივალი დაასრულა Dj crystal –მა. 17 ივნისს ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა. 2022 წლის „წყალტუბოს ეტალონი მოსწავლე“ გახდა სსიპ მამუკა სამაკაშვილის სახელობის მეორე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე. 8 ივნისს ჩატარდა გიორგი გაბუნიას „ღამის შოუ“-ს კონცერტი. ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური ფორმატით გაიმართა, წყალტუბოში 5000 მდე მაყურებელს უმასპინძლა.

6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 91,5 %-ით (გეგმა 1733,1 ათასი, ფაქტი 1585,8 ათასი ლარი). მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დაფინანსებას მოხმარდა 93,0 ათასი ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსებას 203,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარებას 2,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 79,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი 8,5 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება- 561,4 ათასი ლარით, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი 107,4 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება - 462,8 ათასი ლარით, სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება 66,7 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის ფაქტი			პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 733,1	70,7	1 662,5	1 585,8	62,6	1 523,2	91,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	102,7	64,7	38,0	93,0	58,1	34,9	90,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	102,7	64,7	38,0	93,0	58,1	34,9	90,5
06 02	სოციალური პროგრამები	1 630,5	6,0	1 624,5	1 491,3	4,5	1 486,8	91,5
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	232,3	0,0	232,3	203,0	0,0	203,0	87,4
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება	4,0	0,0	4,0	2,0	0,0	2,0	50,0

06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	111,6	0,0	111,6	79,5	0,0	79,5	71,2
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	14,0	6,0	8,0	8,5	4,5	4,0	60,7
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	574,2	0,0	574,2	561,4	0,0	561,4	97,8
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	117,0	0,0	117,0	107,4	0,0	107,4	91,8
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	465,3	0,0	465,3	462,8	0,0	462,8	99,5
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	107,1	0,0	107,1	66,7	0,0	66,7	62,3

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ემსახურება შემდეგს: ეპიდზედამხევედველობის სახელმწიფო პროგრამა, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების ასაცრელი მასალის მონიტორინგი), სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების პროგრამა (ვერბალური აუტოფსია), იმუნოლოჯისტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა, 5-10 წლამდე ასაკის ბავშვების ჰელმინთებზე გამოკვლევა, ანტირაბიული პროგრამის განხორციელება, ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხევედველობა.

სკრინინგის შედეგად ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ აღნიშნულ პერიოდში გამოვლინდა ც ჰეპატიტის 15 შემთხვევა; სავარაუდო ინფექციების წარმოშობის 57 შემთხვევა; ბრუცელოზის 2 შემთხვევა; ლეპტოსპიროზის 2 შემთხვევა; მოშხამვის 2 შემთხვევა; ჩუთყვავილას 1 შემთხვევა; ტუბერკულოზის 5 შემთხვევა, ლეიშმანიოზის 1 შემთხვევა.

ჩატარდა შემდეგი აცრები, დიფტერია-ჩუთყვავილა-ტეტანუსი 125 აცრა; წითელა-წითურა-ყბაყურა 105 აცრა, ტეტანუსი-დიფტერია 30 აცრა; როტარიუსის საწინააღმდეგო 72 აცრა; პნევმოკოკური ვაქცინის 126 აცრა; პაპილომა ვირუსის 41 აცრა; ჰექსაქსიმის ვაქცინის 129 აცრა; ანტირაბიული ვაქცინის 21 აცრა.

გარდა ამისა ფაიზერით, სინოფარმით და სინოვაკით ჯამში ჩატარდა 1329 კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა. 2022 წლის პირველ კვარტალში გამოვლინდა ინფიცირების 6730 შემთხვევა, აქედან გამოჯანმრთელდა 6520.

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2022 წლის მოცემული პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობდა 190 ბენეფიციარი, რომელთა გამოკვება ხდება დღეში ერთჯერ. 1 ბენეფიციარზე დღიური ხარჯი საშუალოდ შეადგენს 2,30 ლარს, ხოლო ჯამურად პირველ კვარტალში ბენეფიციართა კვებაზე დაიხარჯა 34 381 ლარი. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი ახორციელებს აგრეთვე ბენეფიციართა შინმშობის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ ოცზე მეტ ბენეფიციარს.

შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. ასეთი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არის რეგისტრირებული 3 მოქალაქე.

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03)

დახმარება გაეწია მრავალშვილიან ოჯახებს: მესამე შვილის შეძენის გამო 500 ლარი დახმარების სახით მიიღო 51 ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 13 ოჯახმა დახმარების სახით მიიღო - 700 ლარი, მეხუთე შვილის შეძენის გამო 2 ოჯახს გაეწია 1000 ლარი. მეშვიდე შვილის შეძენის გამო 1 ოჯახს გაეწია 1000 ლარი. სოციალური მომსახურების

სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა 142 ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო - 300 ლარი.

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 33 ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალა ოჯახის წევრი (თითოეულს 250 ლარი);

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

სოციალურად დაუცველ 156 ოჯახს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100001-ი ქულის ჩათვლით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გამოეყოთ თითოეულს 250 ლარის ოდენობით. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 449 პირს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 30 ომის მონაწილეს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 23 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ცერებრალური დამბლით დაავადებულ 118 პირს (თითოეულს 500 ლარი), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 94 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება (თითოეულს - 300 ლარი), თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ 39 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს -2000 ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 97 ბავშვს (თითოეულს -300 ლარი), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 44 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), ფსორიოზით დაავადებულ 69 პირს გაეწია დახმარება 300 ლარის ოდენობით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1 სტუდენტს გაეწია თანადაფინანსება გადასახდელი თანხის 50%-ით. პარკინსონით დაავადებულ 55 პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე 6 ბავშვს გაეწია დახმარება (თითოეულს 1500 ლარი). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 37 მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებლად თვეში ერთხელ გამოეყოთ - 150 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა,დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით

უზრუნველყოფილი იქნა 3 მოქალაქე თვეში 150 ლარით. დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით. ას წელს გადაცილებულ 3 პიროვნებას გაეწია ფულადი დახმარება თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ასაკის 2 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება თითოეულს 1500 ლარის ოდენობით. დიდი სამამულო ომის 2 მონაწილეს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ის ჩათვლით 1-ლ მეორე ახალშობილის შეძენისთვის 2 პირს გამოეყო 300 ლარი. რეიტენგირებულ ბავშვთა დახმარება გაეწია 3 პირს 250 ლარის ოდენობით. სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის 22 ბენეფიციარს გაეწია დახმარება თითოეულს 150 ლარის ოდენობით.

ზ) ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშემოღებულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.

2022 წელს ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ირიცხებოდა 16 ბენეფიციარი, რომლებიც უზრუნველყოფილია დღეში ორჯერადი სამკომპონენტო კვებით. კოვიდ 19-ის პანდემიის მიუხედავად მიმდინარეობდა სხვადასხვა ღონისძიებები: 3 მარტი აღსაზრდელებმა მშობლებს საკუთარი ხელნაკეთი საჩუქრებით მიულოცეს; ჩატარდა 8 მარტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; აგრეთვე სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა აკადემიური, მეტყველების, ქვევის, ფუნქციური, კოგნიტური უნარების, მსხვილი და ნატიფი მოტორული, ემოციური უნარების გამომუშავების მიზნით.

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07)

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 1108 მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი (თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევების, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი წილის 50%-ით, არაუმეტეს -1000 ლარისა.). 18 წლამდე ასაკის 1 ბავშვზე გაიცა საგარანტიო წერილი, რომლის სამედიცინო მომსახურებაც ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში. აუტიზმის სპექტრის მქონე 41 ბავშვზე გაიცა საგარანტიო წერილი.